საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 104 (2217) ხუთშაბათი, 30 მაისი, 1996 წელი. ფასი 30, თბილისის გარეთ 35 თეთრი.

## საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1996 წლის 29 მაისი ქ. თბილისი

### გ. ბაბუნიას ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

**თბილისის** მეტროპოლიტენის განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს უფროსი გურამ ბაბუნია დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

**ე. შევარდნაძე.**

---

## ღირსების მედლები და მადლობა თბილისის მეტროპოლიტენის თანამშრომლებს

**თბილისის** მეტროპოლიტენის ექსპლოატაციის, მისი ტექნიკური დონის ამაღლებაში აქტიური მონაწილეობისა და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ღირსების მედლით დაჯილდოვდნენ თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს თანამშრომლები: **ოთარ ალიმბარაშვილი, ზურაბ არევაძე, თეიმურაზ არჩვაძე, ივანე ასკილაშვილი, ტრისტან ასკილესკირი, ალბერტ ასრათიანი, ზაურ ბასილაშვილი, სერგო ბერიძე, ალექსანდრე ბიბილაშვილი, ჯუმბერ ბიკაშვილი, გურამ ბუბაშვილი, აბესალომ გაგნიძე, სტანგელ გელაშვილი, იოსებ გილაური.**

**თბილისის** მეტროპოლიტენში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისა და საექსპლოატაციო მაჩვენებლების გაუმჯობესებაში აქტიური მონაწილეობისათვის, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, მადლობა გამოეცხადათ თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს თანამშრომლებს: **ნოდარ აბესაძეს, ნელი აბრამიშვილს, გივი აბრამიშვილს, ანზორ აკოფაძეს, ნუგზარ ალიბეგაშვილს, გიორგი ალიმბარაშვილს, ნუგზარ არაბიძეს, ნატალია არაქელიანს, გია არევაძეს, იგორ ასპანიძეს, ედგარ ახლოურს, ივერი ბაქიაშვილს, გიორგი ბაზერაშვილს, შალვა ბარამიას, ალექსანდრე ბარქაიას, მიხეილ ბალათურიას.**

## საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1996 წლის 29 მაისი ქ. თბილისი

### თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს თანამშრომლების ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

**თბილისის** მეტროპოლიტენის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, ახალი ტექნიკის დანერგვისა და კადრების მომზადების საქმეში დიდი დამსახურებისათვის ღირსების ორდენით დაჯილდოვდნენ თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს თანამშრომლები:

**ოთარ ბრეგვაძე** — მოძრავი შემადგენლობის სამსახურისა და ელდეპო „გლდანის" უფროსი;

**თინგიზ დოლიძე** — ელექტრომომარაგების სამსახურის უფროსის მოადგილე;

**თამაზ თამარაშვილი** — მოძრაობის სამსახურის მთავარი დისპეტჩერი;

**ზალიკო მალრაძე** — სალიანდაგო და გვირაბნაგებობათა სამსახურის უფროსი ოსტატი;

**კარლო მიმინოშვილი** — ელექტრომექანიკური სამსახურის დისტანციის უფროსი;

**ანზორ მუშკუდიანი** — ელდეპო „ნაძალადევის" ელექტრომატარებლის მემანქანე;

**მურმან მჟავანაძე** — ელდეპო „გლდანის" მემანქანე-ინსტრუქტორი;

**თამენგიზ ყამბირაშვილი** — მოძრავი შემადგენლობის სამსახურის უფროსის მოადგილე, ელდეპო „ნაძალადევის" უფროსი;

**გივი ლამბაშიძე** — მეტროპოლიტენის სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე;

**ჯუმბერ წამალაშვილი** — ელდეპო „გლდანის" ელექტრომატარებლის მემანქანე;

**ბუჭა ჭაბუკიანი** — მშენებარე მეტროპოლიტენის დირექციის უფროსი.

**ე. შევარდნაძე.**

## შრომის დაფასება

**თბილისის** მეტროპოლიტენის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, ნაყოფიერი საქმიანობისათვის, ახალი ტექნიკის დანერგვისა და სრულყოფისათვის, კადრების მომზადების საქმეში დიდი დამსახურებისათვის, თბილისის მეტროპოლიტენის თანამშრომელთა ნაწილი საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ბრძანებულებით დაჯილდოვდა ღირსების ორდენებითა და ღირსების მედლებით.

29 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა სამშობლოს ჯილდოები გადასცა დაჯილდოებულთ. საზეიმო ცერემონიაზე დაჯილდოებულთა და თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს კოლექტივის სახელით მადლობის სიტყვები წარმოთქვეს დედაქალაქის მეტროპოლიტენის სამმართველოს უფროსმა გურამ გაბუნიამ და ელდეპო „ნაძალადევის" ელექტრომატარებლის მემანქანემ ანზორ მუშკუდიანმა. მათ განაცხადეს, რომ სახელმწიფოს დიდი დაფასება მნიშვნელოვანი სტიმული და თანადგომაა მეტროპოლიტენის თანამშრომელთათვის და მომავალშიც ისინი ძალისხმევას არ დაიშურებენ იმისათვის, რათა თბილისის უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო არტერია ღირსეულად მოემსახუროს თბილისელებსა და დედაქალაქის სტუმრებს.

საქართველოს პრეზიდენტმა მაღალი შეფასება მისცა მეტროპოლიტენის კოლექტივის მოღვაწეობას არსებობის 30 წლის მანძილზე და განსაკუთრებით იმ პერიოდში, როდესაც ქვეყანაში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა და ენერგოკრიზისი უარყოფითად მოქმედებდა ქვეყნის საარსებო მნიშვნელობის ობიექტებზე.

— მეტროპოლიტენის გამართული მუშაობის გარეშე წარმოუდგენელია დედაქალაქისა და მთლიანად სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონირება. თქვენს პრობლემებს ჩვენ განვიხილავთ საერთო სახელმწიფოებრივი პროგრამის დონეზე და რეალურად გამოჩენილი შესაძლებლობებით საშუალება გვაქვს ინტენსიურად განვავითაროთ დედაქალაქის ესოდენ მნიშვნელოვანი ტრანსპორტი, — განაცხადა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ. მან კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ხელოვნების, კულტურის, განათლების, მეცნიერების მოღვაწეების დამსახურებათა სათანადო აღნიშვნასთან ერთად დადგა დრო, როდესაც სახელმწიფომ მაღალი ჯილდოებით უნდა დააფასოს ის ხალხი, ვინც ემსახურება ქვეყანას, დოვლათს ქმნის და რომელთა შრომისა და ლვაწლის გარეშე საქართველოს შემდგომი განვითარება წარმოუდგენელია.

**სურათზე:** ჯილდოების გადაცემის შემდეგ.

## ფორუმი

### საქართველოს ეროვნულმა უმცირესობებმა მხარი დაუჭირეს „მშვიდობიანი კავკასიის" ინიციატივას

**საქართველოს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის „მშვიდობიანი კავკასიის" ინიციატივას ფორუმზე, რომელიც 29 მაისს გაიმართა თბილისში რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობაში.**

ედუარდ შევარდნაძის მიმართვაში ფორუმის მონაწილეებისადმი, რომელიც შეკრებილთ წაუკითხა საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ ზაზა შენგელიამ, პრეზიდენტი გულთბილად მიესალმა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს. მან გამოთქვა რწმენა, რომ მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარება როგორც საქართველოში, ისე კავკასიაში მალე რეალობა იქნება საზოგადოების იმ ყველა ჯანსაღი ძალის კეთილი ნების მეოხებით, რომლებიც დაინტერესებული არიან ამ პროექტის განხორციელებით.

ფორუმის მონაწილეებს წაუკითხეს აგრეთვე სამოქალაქო დიპლომატიის საერთაშორისო კომიტეტის მისალმება, რომელშიც მაღალი შეფასება აქვს მიცემული საქართველოს პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებულ მთელ კავკასიის რეგიონში სტაბილურობის დამყარების პროექტს, აგრეთვე ნათქვამია, რომ სამოქალაქო დიპლომატიის მერვე საერთაშორისო ფორუმი, მოსკოვში რომ გაიმართება, მთლიანად მიეძღვნება „მშვიდობიანი კავკასიისათვის" ედუარდ შევარდნაძის ინიციატივის განხილვას.

ამ პროექტის ძირითადი დებულებანი, მისი ისტორიული მნიშვნელობა შეკრებილთა წინაშე გაანალიზა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა. როგორც მან თქვა, პროექტით გათვალისწინებულია კავკასიის რეგიონის გეოპოლიტიკური ფუნქციის შეცვლა, კონფრონტაციის, წინააღმდეგობებისა და ინტერესთა დაპირისპირების ზონიდან მისი თანამშრომლობის ზონად გადაქცევა. ბოლო დროის მოვლენები, კერძოდ, სახელმწიფოთა და რეგიონალურ გაერთიანებათა დაინტერესება ტრანსკავკასიის დერეფნის ამოქმედებით გვარწმუნებენ, — თუ რა პრინციპული შესაძლებლობანი აქვს ამ ინიციატივის რეალიზაციას. მაგრამ, აღნიშნა ირაკლი მენაღარიშვილმა, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ პროექტის მიმზიდველობა, მასში გათვალისწინებული ჰუმანისტური იდეები, მის წარმატებას უზრუნველყოფენ. სამწუხაროდ, ჯერაც არსებობენ ძალები, რომლებსაც ხელს აძლევთ დესტაბილიზაცია კავკასიაში და არასწორი იქნება, თუ მათ ანგარიშს არ გავუწევთ. ამიტომ მინისტრმა ფორუმი ჩათვალა საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა ნების გამოხატვის მნიშვნელოვან აქტად, ადამიანებისა, რომლებსაც იგი საკუთარ სამშობლოდ მიაჩნიათ და სურთ იცხოვრონ ამ მიწა-წყალზე მშვიდობითა და თანხმობით.

ფორუმზე გამოვიდნენ სხვადასხვა დიასპორების, ეროვნული საზოგადოებრივი და კულტურული ორგანიზაციების, ეროვნებათშორის ურთიერთობის პრობლემებთან თავისი საქმიანობით დაკავშირებული სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები. მათ ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი საქართველოს ახლანდელი ხელმძღვანელობის კურსს, რომლის მიზანია ძლიერი, დემოკრატიული, სუვერენული საქართველოს სახელმწიფოს აშენება, საქართველოს პრეზიდენტის „მშვიდობიანი კავკასიის" ინიციატივას, რომლის რეალიზაცია, ფორუმის მონაწილეთა აზრით, ქვეყანასა და რეგიონში მშვიდობისა და აყვავების გარანტი გახდება.

ფორუმის მონაწილეებმა მიიღეს დეკლარაცია მსოფლიოს სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებისადმი, პარლამენტების, ხალხებისადმი. რომელშიც გამოხატულია საქართველოს მოსახლეობის ნება და მოწოდება, მხარი დაუჭირონ კავკასიის რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარებისათვის გამიზნულ ქვეყნის პრეზიდენტის ინიციატივას.

**საქინფორმი.**

### საქართველოს ეროვნულ უმცირესობათა ფორუმის— „მშვიდობიანი კავკასიის" მონაწილეებს

**ბატონებო,**

**ნება მიბოძეთ, გულწრფელად მოგესალმოთ და იმედი გამოვთქვა, რომ თქვენი კეთილშობილური სურვილი კავკასიაში მშვიდობის დამყარებისა, უახლოეს ხანში რეალობად იქცევა და კავკასია დაუბრუნდება თავისი არსებობის იდეალურ მოდელს, რომელიც მარტო ერთმანეთის სიყვარულით კი არ არის ნაკარნახევი, არამედ თვითგადარჩენის ინსტინქტითაც.**

**კავკასიაში ისეა ყველაფერი ერთმანეთში გადახლართული, რომ აქ ან ყველა ერთად გადავრჩებით, ან ყველა ერთად დავიღუპებით, ცალკე ვერც ერთი ერი, ვერც ერთი სახელმწიფო ბედნიერი ვერ იქნება.**

**კავკასია ზოგადად და საქართველო, კერძოდ, სხვადასხვა ხალხების, კულტურების, რელიგიებისა და ენების მრავალსაუკუნოვანი თანაარსებობის იშვიათი ნიმუშია და მე მჯერა, რომ ის შუღლი და უთანხმოებანი, რომელთაც თავი იჩინეს კავკასიის უძველეს ერთა შორის ახალი ცხოვრების დღევანდელ ურთულეს ეტაპზე, მალე დაძლეული და დავიწყებული, იქნება.**

**ამ კონფლიქტების დროს დარღვეულია და დავიწყებული კავკასიელთა ყველა რაინდული ადათი, სწორედ ამიტომ, ისინი ჩვენი ბუნების, ჩვენი თანაცხოვრების ყველა წესის საწინააღმდეგოდ არის გაჩაღებული.**

**თქვენი შეკრება ამ უთანხმოებათა დაძლევის მნიშვნელოვან ნაბიჯად მიმაჩნია და მოხარული ვარ, რომ საქართველოს ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები, საქართველოს ერთგული შვილები აქტიურად უჭერენ მხარს „მშვიდობიანი კავკასიის" იდეას.**

**დიდ მადლობას მოგახსენებთ თქვენი მნიშვნელოვანი მცდელობისათვის და წარმატებას გისურვებთ ამ კეთილშობილური იდეის განხორციელებაში.**

**ედუარდ შევარდნაძე.**

## უზბეკეთის პრეზიდენტი სამშობლოში გაემგზავრა

**დამთავრდა** უზბეკეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ისლამ კარიმოვის ოფიციალური ვიზიტი საქართველოში, 29 მაისს იგი თბილისიდან ტაშკენტს გაემგზავრა.

თბილისის აეროპორტში საპატიო სტუმარი გააცილა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ. გამცილებელთა შორის იყვნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, სახელმწიფო მინისტრი ნიკოლოზ ლეკიშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი, სხვა ოფიციალური პირები, დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ჟურნალისტები.

შესრულდა უზბეკეთის რესპუბლიკისა და საქართველოს სახელმწიფო ჰიმნები, საზეიმო მარშით ჩაიარა თბილისის გარნიზონის ჯარების საპატიო ყარაულმა.

**საქინფორმი.**

## თბილისის „ვითას" კაპიტანს გადაეცა გარდამავალი თასი

**საქართველოს** პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია და სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი დაესწრნენ თბილისის სპორტის სასახლეში გამართულ ცერემონიას, რომელიც მიეძღვნა კალათბურთში საქართველოს 1996 წლის ჩემპიონატის პრიზიორთა დაჯილდოებას.

პარლამენტის თავმჯდომარემ და სახელმწიფო მინისტრმა ჩემპიონატში გამარჯვება მიულოცეს და გარდამავალი თასი გადასცეს თბილისის „ვითას" კაპიტანს.

## თბილისის მეტროპოლიტენი 30 წლისაა

# მიწისქვეშა ქალაქი ხელიხელსაგომანები ტაძარია

**...მეოცე საუკუნის მიწურულს სამების ტაძრის მშენებლობა წამოიწყეთ. შეწირვების მიუხედავად, ნელ-ნელა, მაღალი ღმერთის შეწევნით, მაინც აშენდება. მას უკვე დავარქვით საუკუნის მშენებლობა. ალბათ, ასეც არის. მაგრამ ის რაც თბილისისათვის, მთელი საქართველოსათვის მართლაც საუკუნის მშენებლობა იყო და 30 წლის წინათ წარმატებით დაგვირგვინდა, ერთი წუთითაც არ უნდა დაგვავიწყდეს. 60-იან წლებში, როდესაც ერთიმეორის მჯობნი მეტროპოლიტენის სადგურები დგებოდა მწყობრში, ხალხი გულწრფელად ამბობდა, ეს ჩვენთვის მსოფლიოს მერვე საოცრებააო! მთლად საოცრებისა რა მოგახსენოთ. მაგრამ თბილისის მიწისქვეშა ქალაქი რომ მილიონთათვის ხელიხელსაგომანები ტაძარია, ფაქტია. დედაქალაქის მგზავრთა ნაკადის 90 პროცენტი დღეს სწორედ მეტროპოლიტენზე მოდის. ამით ყველაფერია ნათქვამი...**

**მეტროპოლიტენის დღევანდელი თავკაცი გურამ გაბუნია 10 წელიწადია ამ ურთულეს დაწესებულებას ხელმძღვანელობს. მანამდე ის, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი და მეტრომშენებელთა უერთგულესი მეგობარი იყო. თუმცალა, ზედმეტად მოკრძალებული, უსაგნო ქება-დიდების წინააღმდეგია, ამ საიუბილეო დღეებში მას და მეტროპოლიტენის მთელ კოლექტივს გულწრფელ მადლობას ვეუბნებით მართლაცდა თავდადებული შრომისათვის. ეს მადლობა ზედ უკეთესი მომსახურებისათვის ნათქვამში ავანსიც არის. თბილისელებს სჯერათ, რომ ეს ასეც იქნება.**

ედუარდ შევარდნაძე მეტრომშენებლებთან. 70-იანი წლები.

**— ბატონო გურამ, იქნებ, მეტროპოლიტენის მშენებლობის წარსულით დავიწყოთ?**

— სიამოვნებით. მეტროს მშენებლობისათვის პირველი ბარი დედაქალაქის მიწას ჯერ კიდევ 1952 წელს დაჰკრეს, მაგრამ შემდეგ ის ...ვაუელი პერიოდით შეჩერდა, 1960 წლიდან კი, ინტენსიურად გაგრძელდა. 1966 წლის 11 იანვარს დადგა ის ნანატრი დღე, როდესაც ქალაქის გაჩირაღდნებულ მიწისქვეშეთში გზა დაელოცა პირველ საბ... მატარებელს. ეს იყო ვაჟკაცური, პატრიოტული სიამაყის გა...ვევი დაუვიწყარი ზეიმი. ჩვენი სასიქადულო პოეტი ირაკლი აბაშიძე ამ მოვლენას ასე გამოეხმაურა: „არ შეგულება არც ერთი თბილისელი, რომელიც გულწრფელ აღფრთოვანებას არ განიცდიდეს. ...იმობით თბილისის ცხოვრებაში ჭეშმარიტად ეპოქალურ მოვლენას".

...გადიოდა წლები, მეტროპოლიტენი შენდებოდა და ფართოვდებოდა. მწყობრში დგებოდა ახალი სადგურები და გადასარბენი გვირაბები. დამთავრდა 16-სადგურიანი ვარკეთილი-ახმეტელის თეატრის ძირითადი ხაზი, რომელმაც პრაქტიკულად ერთმანეთს დაუკავშირა თავისებური რელიეფის მქონე ქალაქის ორი ბოლო, ამ ხაზის სიგრძე 20 კილომეტრს აღემატება. არანაკლებ მნიშვნელოვანი გახლდათ საბურთალოს ხაზის მშენებლობა. 1979 წლიდან ამოქმედდა ხუთსადგურიანი საბურთალოს დამოუკიდებელი ხაზი.

ადვილი წარმოსადგენია რა დიდ შრომას, შეუპოვრობას, გამბედაობას და ნიჭს ითხოვდა ესოდენ დიდი მასშტაბისა და სირთულის მშენებლობა. ქართველმა ხუროთმოძღვრებმა, კონსტრუქტორებმა, ინჟინრებმა შეძლეს უმოკლეს დროში შეექმნათ საჭირო პროექტები, რომლებშიც გაითვალისწინეს ტექნიკის და მეცნიერების თანამედროვე მიღწევები, არქიტექტორებმა უხვად გამოიყენეს ქართული მოტივები და ტრადიციები.

მშენებლობის სიმძიმე გამოცდილმა და სახელოვანმა მეტრომშენებელთა კოლექტივმა იტვირთა. გვირაბის თითოეული მეტრი, თითოეული სადგური, შენობა-ნაგებობანი მეტრომშენებელთა მძიმე და შეუპოვარი გარჯით იქმნებოდა.

დღეს ჩვენ მადლიერების გრძნობით ავღნიშნავთ მეტროპოლიტენის პირველი უფროსის ბატონ ნოდარ ზერიძის დამსახურებას, მისი დაწყებული საქმე ღირსეულად გააგრძელა ცხონებულმა ომარ ხიზანიშვილმა და შემდგომ — ბატონმა იგორ მელქაძემ.

მეტრომშენებლებს, დღიდან მშენებლობის დაწყებისა, ერთხანს გიორგი ნასიძე, შემდეგ კი აღიარებული სპეციალისტი, შესანიშნავი მოქალაქე ვიქტორ გოცირიძე ედგა სათავეში. სრულიად ბუნებრივი და ლოგიკურია, რომ ქალაქის მერიამ მხარი დაუჭირა მეტროპოლიტენისა და მეტროს მშენებელთა კოლექტივების თხოვნას და ერთ-ერთ სადგურს ვიქტორ გოცირიძის სახელი უწოდა.

ეს, რაც შეეხება ისტორიას.

დღეს მეტროპოლიტენი ქალაქის განუყოფელი ნაწილია, ამ უნიკალური ტრანსპორტის გარეშე ძნელი წარმოსადგენია თბილისელთა ყოფა-ცხოვრება.

გაშვების წელს მეტროპოლიტენი წარმოადგენდა 6-კილომეტრიან ხაზს, მოქმედებდა 12 ესკალატორი, სავაგონო პარკი მოიცავდა 19 ვაგონს. გადაიყვანეს 21 მილიონი მგზავრი...

**— ბატონო გურამ, უფრო კონკრეტულად გვითხარით დღეს რას წარმოადგენს ჩვენი მიწისქვეშა ქალაქი.**

— თბილისის მეტროპოლიტენი მეტად რთული და მრავალდარგოვანი საინჟინრო ნაგებობაა. მისი ხაზების სიგრძე 30 კილომეტრამდეა და 21 სადგურით ქალაქის თითქმის ყველა უბანს მოიცავს. ყოველდღე ხაზებზე გამოდის 28-30 მატარებელი. სადგურებში დამონტაჟებულია და მოქმედებს 59 ესკალატორი, რომელთა გაშლილი სიგრძე 10 კილომეტრამდეა. ხაზზე მოძრაობის უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და სიჩქარის ავტომატური რეგულირების მოწყობილობები, რომლებიც გამორიცხავენ რაიმე ხიფათს. მიკროკლიმატის საჭირო პარამეტრების დასაცავად მეტროში მოქმედებს განიავების 200-ზე მეტი სისტემა, მიწისქვეშა ნაგებობებში გამოსულ გრუნტის წყლებს განუწყვეტლივ ამოტუმბავს 36 წყალსაქაჩი. ენერგომომარაგებას უზრუნველყოფს 23 ქვესადგური. გვაქვს ორი დეპო — 230 ვაგონით. მეტროპოლიტენის დიდ და რთულ მეურნეობას ემსახურება ოთხი ათასამდე მუშაკი. 1995 წელს გადავიყვანეთ 142 მილიონი მგზავრი, მეტროს ხვედრითმა წილმა მგზავრთა გადაყვანაში 90 პროცენტს გადააჭარბა.

**— რომელი ორგანიზაციები გიდგანან მხარში, ბატონო გურამ?**

— მეტროპოლიტენის გამართული მუშაობა ქალაქის მრავალ ორგანიზაციაზეა დამოკიდებული, თბილისის ინფრასტრუქტურა ხომ ერთიანი ორგანიზმია და ჩვენი ურთიერთშეთანხმებული მუშაობა გადამწყვეტია. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხებათ „საქმთავარენერგოს", „თელასს", „თბილწყალკანალის" სამმართველოს, კავშირგაბმულობის, მიწისზედა ტრანსპორტის, საგზაო, კეთილმოწყობის, და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, დედაქალაქის პოლიციის სამსახურებს. ბოლო ხანებში ჩვენს ურთიერთობაში ბევრი რამ სასიკეთოდ მოწესრიგდა, და ეს განსაკუთრებული მადლიერებით მინდა აღვნიშნო, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ისიც ითქვას, რომ სასურველისაგან ჯერ კიდევ შორსა ვართ. უკვე დადგა დრო თუნდაც ობიექტური სიძნელეებით არ გავამართლოთ გადაუწყვეტელი საკითხები და უფრო აქტიურად, ახლებურად, საქართველოშივე ვეძებოთ

(დასასრული მე-2 გვ.)

## სხვა გაზეთებიდან

### კავკასიის ომის „მეორე ფრონტი"

**უკვე წელიწად-ნახევარია, ჩეჩენი „ბოევიკები" წარმატებით უმკლავდებიან ფედერალურ ჯარებს. როგორ, რა გზით, რის წყალობით? ვინ ამარაგებს იარაღის, ტყვია-წამლის, სამხედრო აღჭურვილობის ახალ-ახალი პარტიებით, ვინ უგზავნის გაწვრთნილ დაქირავებულ მეომრებს, სპეციალისტ-დივერსანტებს? „იზვესტიის" კორესპონდენტს ვადიმ ბელიხს ხელთ ჩაუვარდა „სრულიად საიდუმლო" გრიფით გამოსული დოკუმენტი, რომელიც ჩეჩენთა უკანონო შეიარაღებული ფორმირებების მომარაგების გზებს ეხება და მარტის დამლევს დაეგზავნათ რუსეთის ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელებს, აგრეთვე იმ უმაღლეს სახელმწიფო მოხელეებს, ვისაც დამოკიდებულება აქვს „ჩეჩნეთის პრობლემასთან".**

**„ანალიზში" მოყვანილი მონაცემები შეიძლება სულ სხვადასხვაგვარი დონისა იყოს: აბსოლუტურად უტყუარი, ნეიტრალური, საეჭვო, ცრუ... მიუხედავად ამისა, ეს სრულიად საიდუმლო სქელტანიანი მოხსენება რეალურად არსებობს. და, რაც მთავარია, უშუალო გავლენას ახდენს ფედერალურ ხელისუფალთა მოქმედებაზე როგორც ჩეჩნეთში, ისე მის საზღვრებს დაშორებულ ადგილებში.**

**გთავაზობთ მონაცემებს, რომლებსაც შეიცავს „სრულიად საიდუმლო" გრიფით გამოსული მოხსენება.**

(დასასრული მე-3 გვ.)

## მიწისქვეშა ქალაქი ხელიხელსაგოგმანები ტაძარია

(დასასრული)

მათი გადაჭრის გზები და საშუალებები.

**— უფრო კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

— ბუნებრივია, ეს არ არის წარსულის ნოსტალგია. მაგრამ ფაქტია, რომ მეტროპოლიტენს ჰქონდა მართვის მწყობრი სისტემა, შევდიოდით საკავშირო გზათა სამინისტროში და, როგორც წესი, პრაქტიკულად მშენებლობა და ფინანსირება ცენტრალიზებულად ხორციელდებოდა. მატერიალურად სამინისტროს მძლავრი ბაზები გვამარაგებდა. მათ კი ურთიერთობა ჰქონდათ თითქმის 300-მდე საწარმოსთან. მოძრავი შემადგენლობისა და ძირითადი კვანძების კაპიტალური შეკეთება, განრიგების საფუძველზე, მოსკოვის სარემონტო ბაზებში ხდებოდა. წარმოიდგინეთ, ყველაფერი ეს ერთბაშად შეწყდა. გართულდა ტრანსპორტირება, არ ხერხდებოდა საბანკო ოპერაციები, თავი იჩინა საბაჟო ბარიერებმა. ყველაფერთან ერთად, მოულოდნელი უბედურებაც შეგვემთხვა — სამმართველოში გაჩნდა ხანძარი და მთელი მესამე სართული ჩაიწვა, სადაც განთავსებული იყო სატელეფონო სადგური, ყველა ძირითადი სადისპეტჩერო, საიდანაც მეტროპოლიტენის უმთავრესი პროცესების მართვა ხორციელდებოდა.

**— როგორ გამოხვედით ამ ურთულესი სიტუაციიდან?**

— ჩვენმა კოლექტივმა მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა, აამოქმედა ყველა რეზერვი და მეტროპოლიტენი არ გაგვიჩერებია. მდგომარეობა აშკარად მოითხოვდა რადიკალური, გლობალური გადაწყვეტილებების მიღებას. სწორედ ამ საკითხების განხილვას მიეძღვნა სპეციალური შეხვედრა სახელმწიფოს ხელმძღვანელთან ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან. მისი შეფასებით მეტროპოლიტენში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობა მართლაც გადაუდებელ ღონისძიებებს მოითხოვდა. სწორედ ჩვენი პრობლემებისადმი კომპლექსური მიდგომა აისახა სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 14 აგვისტოს განკარგულებაში „თბილისის მეტროპოლიტენის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ". გადაუჭარბებლად გეტყვით: ეს განკარგულება ჩვენთვის საეტაპო მნიშვნელობისა გახლდათ. მას მოჰყვა სოლიდური ინვესტიციები, მეტროპოლიტენის კოლექტივისათვის გადაწყდა სოციალური პრობლემები. დედაქალაქისა და რესპუბლიკის სხვა საწარმოებმა დაიწყეს სათადარიგო ნაწილებისა და ზოგიერთი კვანძების დამზადება, მნიშვნელოვნად განახლდა მოძრავი შემადგენლობის პარკი. თუ ადრე ვერც წარმოვიდგენდით, რომ ბევრი სათადარიგო ნაწილი და კვანძი ჩვენთან დამზადებულიყო, დღეს ჩვენს შეკვეთებს ასრულებენ თბილისის საავიაციო და „ელექტროაპარატის" გაერთიანებები, ელმავალმშენებელი და ქუთაისის რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნები და მრავალი სხვ. ჩვენმა, ტექნიკური უნივერსიტეტის და ფირმა „თეთრი ქორის" სპეციალისტებმა დაამუშავეს, დაამზადეს და დანერგეს დენის სიხშირის სტაბილიზატორები, რომლებმაც შესაძლებელი გახადა მეტროს მუშაობა სიხშირის 43-44 ჰერცამდე ვარდნის პირობებში. ეს რომ არა, პრაქტიკულად ჩვენ მთელი ზამთრის განმავლობაში — ელექტროენერგიის არასტაბილური მომარაგების პირობებში, გავჩერდებოდით.

არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ პირველად 30-წლიანი ისტორიის მანძილზე ჩვენს ბაზაზე წლეულს დავიწყეთ მოძრავი შემადგენლობისა და ყველა ძირითადი კვანძების კაპიტალური რემონტი.

დავამონტაჟეთ თანამედროვე, ახალი 1000-ნომრიანი სატელეფონო სადგური, აღდგენილია საესკალატორო-სადისპეტჩერო, დამონტაჟებულია აგრეთვე ახალი კომპიუტერული სისტემა, რომელიც მართავს მოძრაობის მთელ პროცესს.

**— გამოდის, რომ საკუთარი ძალებით თითქმის ყველაფრის გაკეთება შეგვძლებია.**

— რა თქმა უნდა, კიდევ მრავალი ჩანაფიქრის ხორცშესხმას ველოდები.

**— მთავარ გადაუწყვეტელ პრობლემათა შესახებ რას გვეტყოდით, ბატონო გურამ?**

— ჯერ კიდევ გვაწუხებს მოძრაობის უსაფრთხოების პრობლემა. წინა წლებში დაშვებულმა ჩამორჩენამ იქამდე მიგვიყვანა, რომ დღეს ესკალატორების თითქმის ნახევარი ზენორმატიული გარბენის პირობებში მუშაობს. იგივე შეიძლება ითქვას 10-კილომეტრიან ლიანდაგზე. კაპიტალური შეკეთების მოლოდინშია 70 ვაგონზე მეტი, რაც ჩვენი სავაგონო პარკის მესამედს შეადგენს, მოვლა-პატრონობის მკვეთრ გაძლიერებას ითხოვს წყლის ჟონვით დაზიანებული გვირაბები, 20 ათ. კვ. მ. შენობა-ნაგებობების სახურავები... ამ პრობლემების მოგვარებაში ძირითადი ხელის შემშლელი უსახსრობა გახლავთ. ჩვენი შემოსავლები მხოლოდ მგზავრთა გადაყვანისაგან მიღებული თანხებით იქმნებოდა, დანარჩენს დოტაციის სახით, სახელმწიფო გვიყოფდა. დღევანდელ პირობებში ჩვენი ტარიფი, გაორმაგების შემდეგაც მეტად მცირეა — 10 თეთრი. (შედარებისათვის — მოსკოვსა და პეტერბურგში ის შესაბამისად 37 და 30 თეთრის ექვივალენტს შეადგენს). ამასთან, ტარიფის გაზრდის შემდეგ ჩვენ შეგვიწყდა სუბსიდია და ფაქტობრივად თვითდაფინანსებაზე ვართ, რაც საკმაოდ იშვიათი მოვლენაა მსოფლიოს მეტროპოლიტენების პრაქტიკაში. სხვა გამოსავალი არ იყო, ეკონომიკაშიც ახალ, არატრადიციულ მეთოდებს მივმართეთ. მარტო ვაგონებისა და ძირითადი კვანძების ადგილზე რემონტმა 200 ათასი ლარის წლიური ეკონომია მოგვცა. წლეულს 120.000 ლარზე მეტი შემოსავალი უნდა მოგვცეს იჯარით გაცემულმა ფართმა და რეკლამამ, სულ ახლებურად მიმდინარეობს ჩვენი ურთიერთობა ახალ ქართულ ბანკთან. ისინი უფასოდ გვისრულებენ სადგურებიდან თანხების ინკასაციას, რაც ყოველწლიურად დამატებით 120.000 ლარის ეკონომიას გვაძლევს. მიმდინარე წლიდან ჩვენ უკვე ვიღებთ ბანკისაგან მისი მოგების ნაწილს. ამ მიმართულებით მუშაობა გრძელდება. მთავრობის დახმარებით გამოგვეყო მსოფლიო ბანკის სამმილიონიანი კრედიტი, რითაც შევიძინეთ დიდი რაოდენობით სათადარიგო კვანძები და ნაწილები, ვმუშაობთ ორი მეტად სერიოზული პრობლემის გადასაწყვეტად. კერძოდ, გაბილეთიანებისა და ქვესადგურების მართვის ახალი თანამედროვე სისტემაზე. გამოცხადებული გვაქვს ტენდერი. ეს ყველაფერი ძალიან საჭიროა, მაგრამ კაპიტალური რემონტის პრობლემებს მაინც ვერ გადაგვიწყვეტს. ამისათვის მიზნობრივად და საგანგებოდ უნდა გამოგვიყონ შესაბამისი სახსრები და ინვესტიციები.

**— ვიცით, რომ თქვენ უფასოდ მგზავრობის (ათასობით ლტოლვილი, ვეტერანები, ადმინისტრაციული ორგანოების ზოგიერთი კატეგორიის მუშაკები) პრობლემაც გაწუხებთ. რას იტყვით ამის შესახებ?**

— მეტროპოლიტენის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გამოსწორდება უფასო მგზავრობის საკითხის მოგვარებით. საქმე ის არის, რომ მინისტრთა კაბინეტის მიერ მიღებულმა დადგენილებამ ზოგიერთი პრობლემა მოაწესრიგა, მაგრამ არსებობს ორი ხელის შემშლელი გარემოება; ერთი — ამ დადგენილებამ ვერ გადაწყვიტა პარლამენტის მიერ ზოგიერთი კატეგორიისათვის მინიჭებული შეღავათების ანაზღაურება და მეორე — მგზავრობის გაძვირების შემდეგ არ გადაწყდა გაორმაგებული რაოდენობით სახსრების ჩარიცხვა მეტროპოლიტენის ანგარიშზე. ამიტომ, ჩვენი თხოვნაა დავუბრუნდეთ ამ საკითხს და მივიღოთ ერთიანი წესი შეღავათიან მგზავრთა კატეგორიების შესახებ ანაზღაურების წყაროს მითითებით, დავადგინოთ აგრეთვე, რომ მომავალში ახალი შეღავათების მიღებისას აუცილებლად იყოს დაკონკრეტებული დაფარვის წყარო და მექანიზმი.

რესპუბლიკისა და დედაქალაქის ბიუჯეტში გათვალისწინებული 4 მილიონი ლარის გამოყოფის საკითხი, როგორც ამას თქვენი გაზეთიც წერდა, გადაწყვეტილია, მაგრამ რეალურად, სახსრები გამოყოფილია მეტად უმნიშვნელო ოდენობით. არადა, ხუთი თვე გავიდა, საბურთალოს ხაზზე ორი სადგურის მშენებლობა კი გადავადებას არ ექვემდებარება.

**— აბსოლუტურად სწორი ბრძანდებით, ბატონო გურამ, მეტრო უნდა აშენდეს, მეტროპოლიტენი ყველასათვის პრიორიტეტული უნდა იყოს.**

— დიახ, სხვა საწარმოებისაგან განსხვავებით მეტროპოლიტენის მუშაობა მილიონთათვის მეტად მტკივნეული საკითხია და მისი გაჩერება დაუშვებელია. ამიტომ, მეტროპოლიტენის პრობლემები შედარებით უფრო პრიორიტეტული და წინა პლანზე წამოსაწევია, მათი გადაწყვეტა, მართლაც, გადავადებას არ ექვემდებარება!

**— კიდევ ერთხელ გილოცავთ მეტროპოლიტენის იუბილეს. თქვენ და თქვენს კოლექტივს გჯეროდეთ, დედაქალაქის მგზავრთა 90 პროცენტი ყოველმხრივ გიჭერთ მხარს და მეტროს სტაბილურობაზე, უსაფრთხო მოძრაობაზე, უკეთეს მომსახურებაზე ოცნებობს.**

— გმადლობთ!

ესაუბრა
**სპარტაკ ქოგულაძე.**

### პარლამენტი

## სამხარეო ფონდების შექმნის წინააღმდეგია

**28 მაისს გაიმართა პარლამენტის მორიგი პლენარული სხდომა, რომელსაც პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი კობახიძე უძღვებოდა.**

დღის წესრიგის დამტკიცებამდე დეპუტატმა გერმანე ფაცაციამ მოითხოვა, რომ პლენარული სხდომებისათვის განკუთვნილ მიმდინარე კვირას პარლამენტმა დაიწყოს მსჯელობა კანონპროექტზე იძულებით ადგილნაცვალ პირთა შესახებ. მანვე მოითხოვა პასუხი იმის თაობაზე, თუ რატომ არ სრულდება პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები რუსეთის სამშვიდობო ძალების მანდატთან დაკავშირებით, რომელთა მოქმედების ვადა კიდევ ორი თვით გაგრძელდა.

ამის შემდეგ პარლამენტმა დაამტკიცა 28-31 მაისის პლენარული სხდომის დღის წესრიგი.

უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ მეორე და მესამე მოსმენით განიხილა და მიიღო კანონპროექტი „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე", რომელიც საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ მიხეილ ჯიბუტმა წარმოადგინა. ცვლილებებისა და დამატებების მიზანი, როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, არის კანონის ქვეყნის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანა. კანონით განისაზღვრა ეროვნული ბანკის დაფუძნების წესი, სახელმძღვანელო პრინციპები, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები, ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტების თანამდებობაზე დანიშვნისა და განთავისუფლების წესი და პირობები.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ თეიმურაზ კოპალეიშვილმა მეორე მოსმენაზე განსახილველად გამოიტანა კანონპროექტი „საბიუჯეტო სისტემისა და უფლებების შესახებ". აღნიშნული კანონპროექტი პარლამენტმა პირველი მოსმენით 1 მაისს მიიღო. როგორც მაშინ, ისე მიმდინარე განხილვაზეც მწვავე კამათის საგნად იქცა საკითხი სამხარეო ფონდებთან დაკავშირებით. ამჯერადაც სამხარეო ფონდების შექმნის კატეგორიული წინააღმდეგი გამოვიდნენ ფრაქცია „ეროვნულდემოკრატის" წევრები, ზოგიერთი მაჟორიტარი დეპუტატი. მიხეილ ჯიბუტის აზრით, მკვეთრად ვერ იქნება გამიჯნული რესპუბლიკური და სამხარეო ბიუჯეტები. და საერთოდაც, სამხარეო ფონდები ვერავითარ ეკონომიკურ და კანონიერ ფარგლებში ვერ ეტევა. შალვა ნათელაშვილს კი მიაჩნია, რომ „სამხარეო ფონდები სხვა არაფერია, თუ არა ქვეყნის სამხარეო დაყოფის დე-იურედ გაფორმებისაკენ გადადგმული ნაბიჯი". თანაც აღსანიშნავია, განაცხადა მან, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს თითქმის ორი წლის წინათ გავიდათ ვადა, — აღნიშნა, — მომხრე ვარ, რომ მაჟორიტარ დეპუტატებს ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულებაზე კონტროლის უფლება მიეცეთ. ამ უკანასკნელის მომხრეა ვახტანგ რჩეულიშვილიც. სანამ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები აირჩევა, მანამდე შეიქმნას ჩვენს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის ქმედითი კონტროლის მექანიზმი, თქვა მან, ხოლო, რაც შეეხება ფონდების საკითხს, იგი განისაზღვროს მხოლოდ მაშინ, როდესაც გაირკვევა ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის საკითხი.

საბოლოოდ, კენჭისყრის შედეგად — 51 მომხრე, 59 წინააღმდეგი, პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა სამხარეო ფონდების დაარსებას. კანონის განხილვა პარლამენტმა საღამოს სხდომაზეც გააგრძელა.

პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი კობახიძემ საქართველოს პარლამენტის სახელით მოძმე აზერბაიჯანელ და სომეხ ხალხებს გულითადად მიულოცა დიდი დღესასწაული — ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენის დღე.

სხდომის მუშაობა გვიანობამდე გაგრძელდა.

**საქინფორმი.**

## საქართველოს კანონი

### „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

**საქართველოს** პარლამენტი **ადგენს:**

1. „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ", საქართველოს 1995 წლის 8 დეკემბრის კანონის მე-13 მუხლის მე-14 აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის დეპარტამენტი დაექვემდებაროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს".

2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს პრეზიდენტი**
**ედუარდ შევარდნაძე.**

**თბილისი. 1996 წლის 15 მაისი.**

### ქრონიკა

**საქართველოს** პრეზიდენტის განკარგულებით ანზორ პირველი განთავისუფლდა ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

* * *

**საქართველოს** პრეზიდენტის განკარგულებით **ვლადიმერ დარჯანია** დაინიშნა ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ.

### რუსეთის პრესის სარკეში

## ამერიკელებს არ სწამთ ჩვენი თანამეგობრობისა

### აფხაზეთის კურორტები— რუსეთის ბალანსზე?

## ელცინის დაპირებები 40 ტრილიონი ღირს

**თანამეგობრობის** აღმასრულებელმა მდივანმა ივან კოროტჩენიამ განაცხადა, რომ თანამეგობრობამ უსათუოდ უნდა გამოიყენოს ევროპის ინტეგრაციული გამოცდილება, იუწყება **„ინტერფაქსის"** სააგენტო. ამისათვის აუცილებელია ქვეყნების კანონმდებლობა ძირითად მიმართულებათა მიხედვით გააერთმნიშვნელიანონ. კანონთა უნიფიკაცია ხელს შეუწყობს მრავალმხრივ ურთიერთობაში უფრო შეწონასწორებული პოლიტიკის გატარებას.

ამასთანავე აღინიშნა, რომ რუსეთთან ბელორუსიის გაღრმავებულმა დაახლოებამ დასავლეთთან ამ ქვეყნის კონტაქტების საგრძნობი გაუარესება გამოიწვია.

კოროტჩენიას აზრით, **საერთაშორისო სავალუტო ფონდი, აგრეთვე ამერიკელი მეწარმეები ეჭვის თვალით უყურებენ თანამეგობრობას.**

შეეხო რა კონფლიქტების პრობლემას, კერძოდ, აფხაზეთის ამბებს, მან საჭიროდ ცნო, გაძლიერდეს თანამეგობრობის აღმასრულებელი ორგანოების როლი მათ მოწესრიგებაში, და გაოცება გამოთქვა იმის გამო, რომ დაკნინებულია თანამეგობრობის როლი ამ საქმეში.

გაზეთ **„სეგოდნიას"**, რომელიც იუწყება თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების მოსკოვის სამიტის შედეგებს, მოჰყავს აფხაზეთის პარლამენტის სპიკერის ს. ჯინჯოლიას განცხადება, რომ რუსეთის მშვიდობისმყოფელი ძალებისათვის პოლიციური ფუნქციების მინიჭება ხელს არ აძლევს სოხუმს, თვით გალის რაიონშიც კი. ამ განცხადებიდან გამომდინარე, გაზეთი გამოთქვამს ვარაუდს. რომ ახლა **„თბილისი ითვლის სამოქმედო ვარიანტებს იმ შემთხვევისთვისაც, თუ ვინიცობაა მოლაპარაკების პროცესი ჩიხში მოექცა ანდა ელცინი — საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის თანამიმდევარი მომხრე — არჩევნებში დამარცხდა".**

**„პრავდა-5"** მკითხველს აუწყებს, რომ აფხაზეთისა და რუსეთის ხელისუფლებმა მიაღწიეს ჯენტლმენურ შეთანხმებას თვითმარქვია რესპუბლიკაში უცხოეთის საზღვაო გემების გატარების რეჟიმის შესახებ. შემოწმებას რუსი მესაზღვრეები განახორციელებენ. და კიდევ ერთი ახალი ამბავი — „ქრისტიანობის უძველესი ძეგლი აფხაზეთში — ახალი ათონის სიმონ კანანელის მონასტერი გადადის მოსკოვის საპატრიარქოს გამგებლობაში. **უფრო მეტიც, აფხაზეთის წარმომადგენლებთან კონფიდენციალური კონსულტაციების დროს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ადმინისტრაციის საქმეთა მმართველმა პ. ბოროდინმა გამოთქვა განზრახვა, ბალანსზე აიღონ აფხაზეთის საკურორტო კომპლექსის უდიდესი ობიექტები.**

როგორც უცხოეთის პრესა იუწყება, ევროპის ქვეყნების წამყვან პოლიტიკოსთა წრეში ყალიბდება აზრი, რომ შესაძლებელია უკრაინის **„შუამავლობა"** რუსეთთან ნატოს თანამშრომლობაში. უკრაინას შეუძლია „გააწონასწოროს ურთიერთობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის და გახდეს მასტაბილიზებელი ფაქტორი". მაგრამ უკრაინის პარლამენტში მიაჩნიათ, რომ ამრიგად, უკრაინა „შეიძლება გახდეს ერთგვარი ბუფერი ორ სამხედრო პოლიტიკურ სისტემას შორის".

**„პრავდამ"** საიდანღაც გამოქექა, რომ საერთაშორისო ექსპერტებს ჰქონიათ ორიგინალური დოკუმენტი, რომელშიც გაანგარიშების საფუძველზე შეფასებულია, რომ ელცინის საარჩევნო დაპირებების შესრულება რუსეთს დაახლოებით 40 ტრილიონი მანეთი დაუჯდება, რაც ქვეყნის ბიუჯეტის დეფიციტს ერთნახევარჯერ გაზრდის. თუ ეს დაპირებები მართლა განხორციელდა, მაშინ ინფლაციის ზრდა ყოველთვიურად 6 პროცენტს შეადგენს!

რუსეთის დამოუკიდებელი ექსპერტების აზრით, კოალიციური მთავრობის ფორმირება რუსეთში შესაძლებელია მხოლოდ კონიუნქტურული მოსაზრებებით და მას დროებითი ხასიათი ექნება. იგი ვერ მიაღწევს დასახულ მიზანს — საყოველთაო თანხმობას, პირიქით, მხოლოდ გაამწვავებს წინააღმდეგობას აღმასრულებელი ხელისუფლების რგოლებს შორის, — წერს გაზეთი **„სეგოდნია"**.

რუსეთის სააგენტო **„ნოვოსტი"** იუწყება, რომ ლონდონში გაიმართა დახურული საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელიც მიეძღვნა საზღვარგარეთ რუსული ორგანიზებული დამნაშავეობის მასშტაბის შეფასებას და სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურების მოქმედების კოორდინაციას. სპეციალისტთა შეფასებით, რუსულმა მაფიამ გააქტიურა თავისი დანაშაულებრივი საქმიანობა ნარკოტიკების ვაჭრობის, კომერციული მაქინაციების, არალეგალური საბანკო ოპერაციების სფეროში. სპეცსამსახურებს განზრახული აქვთ პირველ რიგში შეუდგნენ დანაშაულებრივ დაჯგუფებათა თავკაცების ლიკვიდაციას.

თურმე ელექტროენერგიის მიმწოდებლებს შეუძლიათ მეტი ფული მიიღონ ტარიფების გაუდიდებლად, იუწყება **„ინტერფაქს-აიფი"**. ტარიფების ზრდის პოლიტიკას არავითარი აზრი არა აქვს, ვინაიდან იგი აღრმავებს სიტუაციას გადაუხდელ თანხებთან დაკავშირებით, ზღუდავს საკუთარ რესურსებს, ვინაიდან ჩიხში აყენებს ენერგიის მწარმოებლებს. არსებობს გამოსავალი — ენერგომენეჯერთა ასოციაციის შექმნა, რომელშიც შევლენ უდიდესი მომხმარებელი საწარმოები. ელექტრობის მოხმარების პროცესის სწორი ორგანიზაციის მეოხებით დაიზოგება მოსახმარი რაოდენობის 5 პროცენტი, ხოლო წარმოების ხარჯების 1 პროცენტით შემცირება მოიტანს ისეთივე მოგებას, როგორსაც გაყიდვის 10 პროცენტით ზრდა. ეს ექსპერიმენტი ასოციაციას საშუალებას მისცემს შეიმუშაოს ელექტროენერგიის ბაზაზე ფასწარმოქმნის დარგში პოლიტიკის შეწონასწორების ღონისძიებანი. აღნიშნული გამოცდილება უდავოდ მიიპყრობს ჩვენი ენერგეტიკოსების ყურადღებას.

„გაიხსენებენ ქუთათურები რუსულ ენას, ხოლო რუსები — ქართულ სტუმართმოყვარეობას?" — ასეთ კითხვას აყენებს გაზეთი **„როსიისკიე ვესტი"** ქუთაისიდან მიღებულ რეპორტაჟში, რომელსაც საფუძვლად უდევს ქალაქის მერთან თ. შაშიაშვილთან საუბარი. თუ კორესპონდენტ ნატალია ვლოვინას კეთილმოსურნე ტონით ვიმსჯელებთ, მას სურს დადებითად უპასუხოს სათაურში გამოტანილ კითხვას.

როგორც ყოველკვირეული **„ზა რუბეჟომ"** იუწყება, ჩეხეთის ქალაქ ბრნოს ხელისუფალნი ამ რამდენიმე დღის წინ ქალაქის საპატიო მოქალაქეთა სიებში იოსებ სტალინის გვარს გადააწყდნენ. საქმე ის არის, რომ ომის დამთავრების დროიდან ამ სიებში არავის ჩაუხედავს. ახლა ქალაქის მამებმა არ იციან, რა უყონ „ერების მამამთავარს", — ამოშალონ სიიდან თუ უბრალოდ გააუქმონ ეს საპატიო წოდება?

**იური მოსეშვილი.**

## აქ თვითშემოქმედება

### სათქმელი უნდა ითქვას

## დაუშვებელია

**დიდი ინტერესი და ვნებათა ღელვა გამოიწვია „გარემოს დაცვის შესახებ" და „წიაღის შესახებ" კანონების მომზადებამ და მიღების პროცედურამ ჩვენს ქვეყანაში.**

**ორივე კანონი მეტად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის.**

გეოლოგია, ისევე როგორც გარემოს დაცვა, მეტად სპეციფიკური, რთული და მრავალწახნაგოვანი დარგია, მათ საკითხებში გარკვევა ღრმა ცოდნასა და მაღალ კვალიფიკაციას მოითხოვს.

საკითხს რომ თავიდანვე მოვფინო ნათელი, ელემენტარულიდან დავიწყებ: რა არის ბუნებრივი რესურსები? ესაა — მზის ენერგია; ატმოსფერო (ჰაერი); ჰიდროსფერო (ოკეანეები, ზღვები, ტბები, მდინარეები, მყინვარები, თოვლის საფარი, ხელოვნური წყალსაცავები, წიაღში არსებული წყალი). მცენარეულობა, ნიადაგები; ცხოველთა სამყარო. ლანდშაფტი — რეკრაციული ბუნებრივი რესურსი, სასარგებლო წიაღისეული; პლანეტურ-კოსმოსური (ბირთვული, ზღვების მიმოქცევა, გეოთერმული და სხვ.).

როგორც ვხედავთ, საკმაოდ ფართო სპექტრია რესურსებისა და განა ძალუძს ერთ უწყებას მათი რეგულირება, როგორც ამას „გარემოს დაცვის" კანონის ავტორები გვთავაზობენ?

როდესაც პრეზიდენტმა პარლამენტში შეიტანა კანონის პროექტი „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ", მან გარემოს დაცვის სამინისტრო ახსენა, შემდგომ, რატომღაც მივიღეთ „გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო", რაც არაკორექტულია, რადგან ბუნებრივი რესურსები, თავისთავად, შედის გარემოში.

ასეთმა თითქოსდა უნებლიე შესწორებამ დიდი გაუგებრობა გამოიწვია, რასაც არსებითი ზიანი შეიძლება მოჰყვეს ქვეყნის ეკონომიკისათვის, მათ შორის, გარემოს დაცვისათვის.

რატომ?

ჯერ კიდევ 1995 წლის 23 თებერვალს პარლამენტმა მიიღო დადგენილება „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სახელმწიფო რეგულირებისა და ლიცენზირების შესახებ", რომელსაც ხელს აწერს პარლამენტის მაშინდელი სპიკერი ვახტანგ გოგუაძე. მოვიყვან ამ დადგენილების მხოლოდ პირველ პუნქტს:

„მიენიჭოს საქართველოს რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტროს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სახელმწიფო რეგულირების (და შემდეგ გაშიფრულია — აღრიცხვა, რეგულირება, ზედამხედველობა, კონტროლი) ფუნქცია და ყველა სახის ბუნებრივი რესურსებით (მათ შორის წიაღით და წიაღისეულით) სარგებლობის ლიცენზირების განუყოფელი უფლებამოსილება".

პრეამბულაში კი ნათქვამია: „...ბუნებრივი რესურსების მართვა (აღრიცხვა, რეგულირება, ზედამხედველობა, კონტროლი)..."

როგორც ვხედავთ, ცნებების სრული აღრევაა, ვინაიდან წიაღის სარგებლობასთან დაკავშირებული ურთიერთობათა **სახელმწიფო რეგულირება ხორციელდება მართვის, აღრიცხვის, ლიცენზირებისა და კონტროლის მეშვეობით.**

ეს საყოველთაოდ მიღებულია და თვითშემოქმედება აქ დაუშვებელია.

გარემოს დაცვის კანონი სამინისტროს ანიჭებს რეგულირების (მართვა, აღრიცხვა, ლიცენზირება, კონტროლი) ფუნქციებს.

ეს გადაულახავ სირთულეებს შეუქმნის სამინისტროს, კანონში უწყებათა ფუნქციები მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს.

მხოლოდ გარემოს დაცვაა სამინისტროს ფუნქციები, სხვა ფუნქციების მინიჭებით მას დაეკარგება საქმიანობის მთავარი ორიენტირი. გარდა ამისა, სხვა სახელმწიფო უწყებებს (სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო, გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტი, სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველო, დაცული ტერიტორიების, ნაკრძალების და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველო) დაეკარგებათ ფუნქციები, რაც, ფაქტობრივად, მათ ლიკვიდაციას ნიშნავს, სხვათა შორის, ეს აგრეთვე ეწინააღმდეგება პარლამენტის მიერ 1995 წლის 8 დეკემბერს მიღებულ საქართველოს კანონს „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ".

და ეს იმ დროს, როდესაც ქვეყანაში გვაქვს ზემოთ ჩამოთვლილი სპეციალიზებული მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებული ქმედუნარიანი სამსახურები, მათ ერთი ხელის მოსმით ფუნქციას უკარგავ და საქმეს გადასცემ სამინისტროს, რომელსაც არავითარი მსგავსი სამსახურები და სპეციალისტები არ გააჩნია.

ეს არ არის პირველი მცდელობა: თავის დროზე 1994 წლის ოქტომბერში პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარემ დააყენა საკითხი ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შექმნის შესახებ. ალბათ, წარმოგიდგენიათ, ეს რამხელა მონსტრი იქნებოდა, მთავრობაში მეორე მთავრობა. მინისტრთა კაბინეტმა და სახელმწიფოს მეთაურმა — პარლამენტის თავმჯდომარემ ეს წინადადება მაშინ არ მიიღეს.

დღეს კი სხვა გზით, ანუ სათანადო კანონების მიღებით, სურთ ამ არარეალური საკითხის რეანიმაცია, რაც, რასაკვირველია, მიუღებელია, რადგან პრაქტიკულად განუხორციელებელია.

ახლა მოკლედ იმის შესახებ, თუ როგორ მიიღო პარლამენტმა ეს დადგენილება. წერილი „მწვანეების" ხელმოწერით 23 თებერვალს გაეგზავნა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს, ბუნებრივია, მან სათანადო დავალება გასცა. იმავე დღეს ეს საკითხი გავიდა პარლამენტის სხდომაზე და მიიღეს კიდევ ეს ცნობილი ავადსახსენებელი დადგენილება. შესაშური ოპერატიულობაა. როგორც იცით, არასოდეს პარლამენტს ასეთი ოპერატიულობა არ გამოუჩენია, მაშინ, როდესაც სახელმწიფოს მეთაურის რეზოლუციაში მითითებულია, რომ მომხდარიყო ამის „გათვალისწინება მუშაობის პროცესში".

მუშაობის პროცესი არ შემდგარა.

კაცმა რომ თქვას, სულ წყალწაღებულიც არაა ეს დოკუმენტი. იქ წერია:

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბუნებრივი რესურსების „რაციონალურად **განკარგვა, რეგულირება, კონტროლი და დაცვა** მხოლოდ შესაბამისი უფლებების მქონე, კარგად აღჭურვილ და პროფესიონალებით დაკომპლექტებულ სახელმწიფო ორგანოს ხელეწიფება".

ისმის კითხვა, გეოლოგიის, წიაღისა და წიაღისეულის დარგში პროფესიონალებით დაკომპლექტებული და კარგად აღჭურვილი ვინ უფროა — გეოლოგიის დეპარტამენტი თუ გარემოს დაცვის სამინისტრო? ეჭვს გარეშეა, რომ ასეთი სერიოზული დადგენილების მიღება მოითხოვდა იმ ორგანიზაციებთან, სათანადო კონსულტაციებსა და შეთანხმებებს, ვისაც ბუნებასთან აქვს საქმე: სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქნავთობი, „საქნახშირი", „საქგეოლოგია". გარდა ამისა, მეცნიერებათა აკადემიაში არსებობს სპეციალური მაღალპროფესიული სამეცნიერო დაწესებულება ინსტიტუტის სტატუსით — „საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი კომისია" აკად. ა. ძიძიგურის ხელმძღვანელობით. და ბოლოს, მინისტრთა კაბინეტთან შეთანხმებით ეს არ მომხდარა და კულუარული წესით მივიღეთ პარლამენტის უმართებულო დადგენილება, რომელსაც დღეს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ცხვირწინ გვიფრიალებენ.

თუ ეს საკითხი სერიოზულად და საქმის ცოდნით არ გადაიჭრა, ქვეყანას დიდი ზიანი მიადგება.

აქედან გამომდინარე, წინამდებარე კანონიც გამსჭვალულია ამ დადგენილების სულისკვეთებით. იგი ძირეულ გადაკეთებას მოითხოვს. ჩვენი შენიშვნები მთავრობაში წერილობით წარვადგინეთ, მაგრამ არავის გაუთვალისწინებია.

თუ ეს ასე არ მოხდა, გამოდის, რომ ქვეყანას არ სჭირდება გეოლოგიური სამსახური, არადა, ამერიკის შეერთებულ შტატებში, რუსეთში, ბურკინა-ფასოში, ყარაჩაი-ჩერქეზეთში, ყალმუხეთში — ყველგან არის იგი, საქართველოშიც, მაგრამ მას პარლამენტის 1995 წლის 23 თებერვლის დადგენილებით, წიაღისეულის რეგულირების უფლება აეჭარა.

1995 წლის 8 დეკემბრის კანონით, გეოლოგიის სამსახური მთავრობაში წარმოდგენილია გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტით, ხოლო 1995 წლის 23 თებერვლის დადგენილებით, მას დარგის ხელმძღვანელობის უფლებამოსილება წიაღისეულის სანედლეულო ბაზის ჩამოყალიბების, გაფართოებისა და განმტკიცების საქმეში აღარ აქვს, რადგან დარგის რეგულირება, რაც მოიცავს მართვას, აღრიცხვას, ლიცენზირებას, კონტროლს გადაცემული აქვს გარემოს დაცვის სამინისტროს.

რაც შეეხება გარემოს დაცვის სამინისტროს, მიგვაჩნია, რომ თანამედროვე ეტაპზე უმჯობესი იქნებოდა მისი მოქმედების სფერო დასავლეთის ქვეყნების გარემოს დაცვის სამსახურების ანალოგიით გარემოს (ჰაერი, წყალი, ნიადაგი) ჰიგიენისა და სანიტარიული მდგომარეობის რეგულირებით (ე. ი. გარემოს გაჭუჭყიანების პრობლემით) განისაზღვროს. ეს ბუნების დაცვის სფეროში ყველაზე გლობალური და გადაუდებელი ამოცანაა, რადგან გარემოს გაჭუჭყიანება აქტიურად მოქმედებს ცოცხალ ბუნებაზე, მცენარეებზე, ცხოველებზე, და, ცხადია, ადამიანზე.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ადამიანი ბუნების მხოლოდ ერთი ნაწილია, ნათელი გახდება, რომ საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთმოქმედების მართვის სისტემების ერთი სამინისტროს ჩარჩოებში მოქცევა შეუძლებელია პრობლემათა უჩვეულო მრავალსახოვნებისა და სირთულის გამო. თუ ამას დავუმატებთ მთელ ტექნოლოგიურ, ადამიანის მიერ შექმნილ, ინფრასტრუქტურას, დავინახავთ, რომ წარმოუდგენლად რთულ ამოცანებს უსახავენ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს.

გეოლოგიის დეპარტამენტი გადავიდა დარგის პროგრამულ მართვაზე, რაც სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების დამუშავებასა და მათ რეალიზაციას გულისხმობს, პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის ხელმძღვანელებმა მოისმინეს ჩვენი ინფორმაცია, დეპარტამენტის საქმიანობამ მაღალი შეფასება დაიმსახურა.

დაისმის კითხვა, ძალუძს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ამ ფუნქციების შესრულება? ვფიქრობ, ამ საკითხის დასმაც კი ნონსენსია.

მაშინ რატომ უნდა მოხდეს, რომ ჩვენი ეკონომიკის საფუძვლების — მინერალური რესურსების აღმოჩენა-შესწავლა, ტექნოლოგიების დამუშავება დაყვანილ იქნას ნოლზე?

ახლა იწყება მთავარი ეკონომიკური ბრძოლები, უფრო სწორად ძალისხმევა და ძალზე მნიშვნელოვანია ანალოგიური სიბეცე კვლავ არ დაგვემართოს. ეკონომიკური საკითხების გარკვევის დროს ღრმა და ყოვლისშემცველი ანალიზია საჭირო. ეკონომიკის აღმავლობაში წიაღისეული რესურსების ჩართვა უპირველეს ამოცანას წარმოადგენს.

მე აღარ ვლაპარაკობ გეოლოგიის დარგის ფინანსირების ძალიან დაბალ დონეზე (იგი 3-ჯერ ნაკლებია, ვიდრე მინიმალურად არის საჭირო).

ვნებათა ღელვის ძირითადი მიზეზი ლიცენზირება გახლავთ. წიაღისეულის ლიცენზირება უნდა იყოს გარემოს დაცვის სამინისტროში! რატომ? განა მათ უკეთ იციან წიაღისეულის ანუ სასარგებლო ნამარხების გავრცელების კანონზომიერებანი, მათი განლაგების, ნივთიერი შედგენილობის, გამოყენების, გადამუშავების ტექნოლოგიების მოპოვების, მსოფლიო ბაზარზე მათი კონიუნქტურის პირობები, ვიდრე სპეციალიზებულმა გეოლოგიურმა სამსახურმა? ეს ხომ აბსურდია. გვაბრალებენ, რომ ჩვენ ვართ წიაღისეულის მომხმარებლები — არა ვართ. არცერთი სამთო-მომპოვებელი საწარმო ჩვენს სისტემაში არ არის. მართალია, ძველ დებულებაში ჩვენ გვეწერა, რომ გვაქვს უფლება წიაღისეულის მოპოვებისა, მაგრამ მაშინ გეოლოგიის დეპარტამენტი სამეურნეო ორგანიზაცია იყო (თუმცა არასოდეს მას წიაღისეულის მოპოვება არ უწარმოებია). ახლა კი ჩვენ ვართ სახელმწიფო უწყება, რომელიც საერთოდ არ ეწევა სამეურნეო საქმიანობას. არც ახალ დებულებაში, რომელიც წარდგენილია დასამტკიცებლად, სამეურნეო საქმიანობა არ ფიგურირებს.

გარდა ამისა, თუკი მშენებლობისა და ურბანიზაციის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, იუსტიციის სამინისტროები და სხვანი თავისი მოქმედების სფეროში ლიცენზირებასაც აწარმოებენ, რა დაშავა გეოლოგიურმა სამსახურმა?

იუსტიციის, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროები აღნიშნავენ, რომ წიაღისეულის ლიცენზირება უნდა იყოს გეოლოგიურ სამსახურში, ამისათვის კი საჭიროა პარლამენტის 1995 წლის 23 თებერვლის დადგენილების შეცვლა.

პირადად მე ვფიქრობ, რომ არაფრის შეცვლა არ არის საჭირო, რადგან 8 დეკემბერს მიღებული კანონი „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ" უფრო მაღალი რანგის დოკუმენტია (რადგანაც ის არის კანონი), ვიდრე 23 თებერვლის დადგენილება.

გარდა ამისა, გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტს, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების (სახელმწიფო) უწყებას, უნდა ჰქონდეს დარგის განვითარების ყველა უფლება და საშუალება.

სამწუხაროდ, მე არ ვესწრებოდი მთავრობის იმ სხდომას, რომელზეც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დებულება ისე განიხილეს და დაამტკიცეს, რომ ბუნებათმოსარგებლე უწყებების აზრი არათუ გაითვალისწინეს, არამედ არც კი მოისმინეს. ამას შეუძლია გამოიწვიოს არეულობის შეტანა ბუნებრივი რესურსების რეგულირების საკითხში. ეს მიგვაჩნია მცდარად და ვფიქრობთ, პრეზიდენტი შეცდომაში იყო შეყვანილი.

დებულებაში არის ურთიერთგამომრიცხავი პუნქტები, რომლებიც უშუალოდ გვეხება ჩვენ. კერძოდ:

დებულების პუნქტი 2.1. „გარემოს დაცვის, ცოცხალი და არაცოცხალი ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სახელმწიფო მართვის (რეგულირება, ლიცენზირება, აღრიცხვა, ზედამხედველობა, კონტროლი) და ჰიდრომეტეოროლოგიის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა და გატარება..."

ეს თუ რამდენადმე მისაღებია, პუნქტი 3.1. სულ სხვას მეტყველებს: სამინისტროს უფლება აქვს: „განუყოფლად აწარმოოს ყველა სახის ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სახელმწიფო მართვა: რეგულირება, ლიცენზირება, აღრიცხვა, ზედამხედველობა, კონტროლი" (აქაც ცნებების აღრევაა).

ანალოგიური შეცდომა დაუშვეს ამას წინათაც, პარლამენტის დილის სხდომაზე, სადაც იხილებოდა კანონი წიაღის შესახებ. მაგრამ არსებობს ორი კანონი — ერთი გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ მომზადებული და მეორე — გარემოსა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის მიერ, რომელთა შორის პრინციპული განსხვავებებია.

შეთანხმება ორივე კანონის ავტორებს შორის მხოლოდ ახლახან დამთავრდა და პარლამენტი საკითხს რომ იხილავდა, შეჯერებული კანონი არცკი ჰქონდა ხელთ. არც გეოლოგიის დეპარტამენტის წარმომადგენელი მიიწვიეს სხდომაზე, ხოლო ზოგიერთი პარლამენტარის გამოსვლიდან კარგად გამოჩნდა საქმისადმი და გეოლოგიური სამსახურისადმი ტენდენციური დამოკიდებულება — წარმოდგენაც კი არა აქვთ საკითხის არსზე, იქამდე, რომ არ ესმით გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის ფუნქციები და საქმიანობის წესი.

ბევრ სამინისტროს გაჩენილი აქვს სურვილი თავი გამოაცხადოს ზეუწყებად, ზესამინისტროდ; ახლა ასეთი სურვილი გაუჩნდა გარემოს დაცვის სამინისტროს და კიდევ ვინ იცის, ვის გაუჩნდება, ჩემი აზრით, ეს სწორი ტენდენცია არ არის და იგი უნდა აღიკვეთოს.

რაც შეეხება კანონს „გარემოს დაცვის შესახებ", — იგი პრინციპულად გადასამუშავებელია და ამ სახით მიუღებელია.

საინტერესოა, რომ მთავრობის სხდომაზე ამას წინათ იხილებოდა ეს კანონი და საკმაოდ განსხვავებული აზრები გამოითქვა. და სრულიად სამართლიანად მთავრობამ მიიღო პრეზიდენტის მიერ შეთავაზებული დადგენილება: გამოიყო სპეციალური კომისია ყველა ბუნებათმოსარგებლე სამინისტროსა და უწყებათა მონაწილეობით, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სახელმწიფო მინისტრი ბ-ნი ნ. ლეკიშვილი. ეს ორი კანონი „გარემოს დაცვის შესახებ" და „წიაღის შესახებ" ერთი თვის განმავლობაში უნდა შეჯერდეს, შემდეგ განიხილავს პრეზიდენტი და მხოლოდ ამის მერე ისინი შევა პარლამენტში.

და ბოლოს, ამ საკითხში ანარქიის დამკვიდრებას ხელს უწყობს სახელმწიფო კანცელარიის ადგილობრივი მმართველობისა და რეგიონული პოლიტიკის საკოორდინაციო ცენტრიც, რომელმაც 19 აპრილს საქართველოს მხარეების სახელმწიფო რწმუნებულებს და გამგეობის თავმჯდომარეებს დაუგზავნა № 96/65 წერილი, სადაც წერია: თბილისში შეიქმნა „საქართველოს გეოლოგიური ცენტრი, რომელსაც თავისი სამეცნიერო პოტენციალით საკონტრაქტო სისტემის საფუძველზე შეუძლია ჩაატაროს სხვადასხვა სახის გეოლოგიური პროფილის სამუშაოები".

ცხადია, კერძო სტრუქტურების ჩამოყალიბება არავის აუკრძალავს, მაგრამ განა სახელმწიფო კანცელარიამ სახელმწიფო გეოლოგიური სამსახურის არსებობის პირობებში შეუმოწმებელი, დაუსაბუთებელი პროპაგანდა და რეკლამა უნდა გაუწიოს საეჭვო ხასიათის კერძო სტრუქტურას? — ჩემი აზრით, ეს არ არის სწორი.

**თამაზ ჯანელიძე,**
**გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე, საინჟინრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, პროფესორი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კავკასიის ომის „მეორე ფრონტი"

სხვა გაზეთებიდან

ვადიმ ბელიხი, გ. „იზვესტია", № 85.

## სისხლის გადასახადი

**დუდაეველებს** ვერავინ წაართმევს ვერც პატრიოტიზმს და ვერც, თუ გნებავთ, ფანატიზმს, მაგრამ ვერსად გავექცევით ცხადზე უცხადესი ფაქტის კონსტატაციას: ფინანსური საზრდოობის უხვი წყარო რომ არ ჰქონოდათ, „ბოევიკთა" რაზმები დიდხანს ვერ იომებდნენ.

ყველაზე ნაკლებ ფულად დახმარებას, მოხსენების ავტორთა აზრით, იღებენ დუდაეველები უშუალოდ ჩეჩნეთიდან. აქ ფართოდ არის გავრცელებული მოსახლეობის „ნებაყოფლობითი შეწირულებათა" შეგროვება, მძევლების გატაცება გამოსასყიდის მიღების მიზნით, დაუფარავი ძარცვა-გლეჯა. საგრძნობ როლს ასრულებს ნავთობპროდუქტებთან დაკავშირებული მაქინაციები. სპეცსამსახურების აზრით, ჩეჩნეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ყოველდღიურად ათეულ და ასეულ მილიონობით მანეთის ნავთობპროდუქტებს იტაცებენ. ასეთი ოპერაციების ამონაგების ძირითადი ნაწილი უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა შენახვას ხმარდება.

გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს დუდაევის რეჟიმისათვის დაფინანსების წყაროებს, რომლებიც უშუალოდ რუსეთსა და თანამეგობრობის ქვეყნებში იმყოფება.

საიდუმლო დოკუმენტის ავტორთა აზრით, აქ განსაკუთრებული ადგილი უკავია სახსრებს, რომლებსაც უშუალოდ ფედერალური ბიუჯეტიდან იღებენ.

„ბოევიკთა" ხელმძღვანელებს სხვადასხვა გზით მისდით თავიანთი „სარგო" მილიარდობით მანეთიდან, რომელსაც რუსეთის მთავრობა გამოჰყოფს ჩრდილოეთ კავკასიისათვის. განსაკუთრებით იმ ფულიდან, რომელიც სახმშენის, თავდაცვის, შინაგან საქმეთა და საგანგებო სიტუაციათა სამინისტროების ხაზით გადის...

ცნობილია ისეთი ფაქტებიც, როდესაც ჩეჩნეთში არჩევნების ორგანიზაციისათვის გამოყოფილი ფული უშუალოდ ეგზავნებოდა დუდაევის მომხრეებს.

დუდაეველებს არსებით დახმარებას უწევენ თანამეგობრობის ჩეჩენ-ინგუშთა სათვისტომოები „მეომარი ძმების დასახმარებლად ნებაყოფლობითი გადასახადის" თახხებით, ყაზახეთში „გადასახადი" ეროვნული დიასპორის შემოსავლის 10 პროცენტს აღწევს.

უშუალოდ ფედერაციაში „ბოევიკებისათვის" განკუთვნილი ფულის შეგროვების საქმეში განსაკუთრებული აქტიურობა შეიმჩნევა ისეთ „წმინდა რუსულ" ქალაქებში, როგორიც არის მოსკოვი, ივანოვო, ირკუტსკი, უფა, ნახოდკა, კამენ-რიბოლოვი, პეტერბურგი, სლანცი, სვიატოგორსკი, ნიჟნი ნოვგოროდი, კალუგა, ეკატერინბურგი, კოსტრომა, ტვერი, სევეროდვინსკი, პერმი, კრასნოდარი, ომსკი, ვორონეჟი...

მთლიანად, მარტო რუსეთში არსებული ჩეჩნური დიასპორებისაგან დუდაევის რეჟიმისათვის შეწევნილი წლიური დახმარება, სპეცსამსახურების შეფასებით, ოც მილიარდ მანეთს შეადგენს.

გარდა ამისა, „ანალიზში" მოყვანილია იმ ბანკების სია, რომლებსაც, მოხსენების ავტორთა აზრით, კონტროლს უწევენ ჩეჩნურ-ინგუშური დაჯგუფებანი, და მაშასადამე, რომლებიც შეიძლება მონაწილეობდნენ დამოუკიდებელ შეიარაღებულ ფორმირებათა საჭიროებებისათვის ფულის „გადატუმბვაში". ალბათ, ამ ბანკების მფლობელებს დააინტერესებთ შეიტყონ, რა სახით ფიგურირებენ მათი დაწესებულებანი სრულიად საიდუმლო დოკუმენტში, რომელმაც შესაძლოა უკვე გამოიწვია ხელისუფალთა გარკვეული, თუნდაც ფარული, მოქმედება. მარტო მოსკოვიდან, ნათქვამია დოკუმენტში, „შავ სიაში" შედიან აგრიკა, არვე, მაცხოვრის ტაძრის, გაგარინის ბანკები, „დრევმაში", ივეკო, ინვესტბიზნესბანკი, ოსტანკინოს კომერციული ბანკი, მოსსტროი, ეკონომბანკი, მოსელექტრობანკი, პლანეტა, პროფსპორტბანკი, „რაზვიტიე", რომატონი, „როსბიზნესბანკი", „რუსეთის კრედიტი", სტეიდ ბანკი, „სტანკომეხპრომბანკი", „სოზიდატელი", „ტეპკობანკი", „ტოვნარბანკი", „ტოკობანკი", „ტხაბანკი".

მოხსენებაში ნათქვამია აგრეთვე, რომ დუდაეველები იყენებენ „რუსეთ-აზიის ბანკის" ზღვისპირეთის მხარისა და ირკუტსკის ოლქის ფილიალებს, „ვოსტოკინვესტბანკის" ირკუტსკის ფილიალს, „ნიისოს" ბანკს, „ციმბირის სავაჭრო ბანკის", „ირონბანკის", „ოსბანკის" ფილიალებს, გროზნოს „ჩრდილოეთ კავკასიის" ბანკს, ესტონეთის „ჰანზა ბანკს".

## ფული ომისათვის და ომი ფულისათვის

**„ანალიზის"** შემდგენელთა აზრით, ჩეჩენი „ბოევიკები" მნიშვნელოვან მხარდაჭერას იღებენ საზღვარგარეთიდან. მაგრამ, რამდენადაც მსოფლიოს არც ერთი ქვეყანა ოფიციალურად არ უჭერს მხარს დუდაევის რეჟიმს, დახმარება, და არა მარტო ფინანსური, მოდის საზოგადოებრივი და მუსლიმანური ორგანიზაციების ხაზით. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მათ შორის ყველაზე უფრო აქტიურნი არიან: „მსოფლიო ისლამური ალორძინება" (საუდის არაბეთი, აზერბაიჯანი), „აზერბაიჯანის სახალხო ფრონტი", „რუხი მგლები" (თურქეთი, აზერბაიჯანი), „დუნიავი ბოზ ლურდი" (აზერბაიჯანი), „ისლამური სამყარო", „ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრი", „კეთილდღეობის პარტია" (თურქეთი), „კავკასიელ ჩეჩენთა სოლიდარობის კომიტეტი" (თურქეთი), „კავკასიის წარმომადგენლობა თურქეთში", „მუსლიმი ძმები" (ეგვიპტე, იორდანია), „ჩეჩნეთის რესპუბლიკის ხალხისადმი დახმარების იორდანიის კომიტეტი", „ჩეჩნეთ-ინგუშეთის მეგობართა საზოგადოება" (იორდანია), „ჰუმანიტარული დახმარების ორგანიზაცია" (გფრ), „ხსნის საერთაშორისო ისლამური ორგანიზაცია", „ჰუმანიტარული ინიციატივა" (პოლონეთი), რუხ-ი, უნსო (უკრაინა), „მოლდოვის ქრისტიანულ-დემოკრატიული სახალხო ფრონტი", ბელორუსიისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების ნაციონალისტური ორგანიზაციები...

დუდაეველები ყველაზე სერიოზულ დახმარებას იღებენ თურქეთის, ეგვიპტის, იორდანიის, ირანის, საუდის არაბეთის, ამანის, ავღანეთის, აზერბაიჯანის, ტაჯიკეთის ტერიტორიიდან...

მარტო საუდის არაბეთიდან 1995 წლის სექტემბერში იჩკერიის „ბოევიკებს" გაუგზავნეს 10 მილიონი დოლარი, რომელიც ერაყის, იორდანიის და თვით საუდის არაბეთის სხვადასხვა საზოგადოებრივმა და რელიგიურმა ორგანიზაციებმა შეაგროვეს.

მაგრამ მთელი მიღებული ფული როდი გამოიყენება უშუალოდ ომისათვის, მის მნიშვნელოვან ნაწილს უბრალოდ იჯიბავენ საველე მეთაურები. კორუფცია და ფინანსური აფერები აქაც ფრიად მტკივნეული პრობლემაა.

დოკუმენტი შეიცავს ინფორმაციას, რომ 1995 წლის დეკემბერში ჩეჩნეთს ესტუმრა უცნობი ამერიკელი, ვითომდა ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის თანამშრომელი სამი თანხლები პირითურთ. როგორც ჩანს, იგი ჩამოსულა არა საჯაშუშოდ, არამედ შესამოწმებლად — ჩაუტარებია ძალიან მკაცრი რევიზია, რომელსაც ფრიად შთამბეჭდავი დარღვევები გამოუვლენია. მაგალითად, მარტო დუდაეველთა ერთ-ერთ „ფრონტზე" რეგულარულად ხდებოდა „ხელფასის" ჩამოწერა იქ მოქმედი 10 ათასი დაქირავებულთათვის, თუმცა რეალურად ისინი ათასზე მეტნი არ აღმოჩნდნენ.

გამუდმებული გარჩევების საგანია საველე მეთაურთა კომერციული აქტიურობაც. მაგალითად, გელაევს საზღვარგარეთ მიუღია მილიონ-ნახევარი დოლარი, ხოლო ჩეჩნეთში „ჩამოჰყოლია" მხოლოდ ხუთასი ათასი. დახარჯული მილიონი, როგორც ვარაუდობენ, საზღვარგარეთ, საკუთარ ფირმაში გადაურიცხავს. არის ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ სალმან რადუევმა მიითვისა დაახლოებით ორი მილიონი დოლარი, რომელიც „იჩკერიის რესპუბლიკის" მაშინდელი ვიცე-პრეზიდენტის იანდარბიევისაგან მიიღო იარაღის შესაძენად და მოლაშქრეთა შესანახად. ორი საველე მეთაური, რომელიც მას პირზე დაადგა და ქურდი უწოდა, ცოტა ხნის შემდეგ დაილუპნენ საკმაოდ უცნაურ ვითარებაში. მერე კი თვით რადუევიც მოკლეს.

მთელი გამოძიება დაიწყო მას შემდეგ, რაც დუდაევის რამდენიმე ემისარი, რომლებსაც დიდი თანხები მიეცათ რუსეთში ტერორისტული აქტების მოსაწყობად, ფულიანად გაუჩინარდნენ.

## უწყვეტი ნაკადი

**მასალაში** „ჩეჩნური ტრანზიტი" „იზვესტია" უკვე წერდა, რას იუწყებოდნენ დუდაევის „ბოევიკთა" მომარაგების გზებზე სამხედრო მოხსენებებსა და რუსეთის ძალოვანი უწყებების სპეციალურ შეტყობინებებში. პრაქტიკულად იგივეა ნათქვამი საიდუმლო „ანალიზშიც". კერძოდ, „ან-26"-ის გამოყენების შესახებ, რომლებიც რუსეთის საზღვარს კვეთდნენ აზერბაიჯანის მხრიდან დაახლოებით სამ კილომეტრ სიმაღლეზე და მერე ეშვებოდნენ ჩეჩნეთის ტერიტორიაზე სპეციალურად მოწყობილ საველე ასაფრენ-დასაჯდომ ზოლებზე.

მოხსენებაში უფრო დაწვრილებით არის აღწერილი ადამიანების გადაყვანა და ტვირთის გადაგზავნა არა შემოვლითი ბილიკებით, არამედ იარაგ-ყაზმალარის და ტაგირგენტ-ყაზმალარის სასაზღვრო საკონტროლო გამშვები პუნქტების გავლით სუმგაით-დარუბანდ-მახაჩყალა-ხასავიურტის მარშრუტით. ავტორთა აზრით, ყოველ უცხოელ დაქირავებულში გადამყვანნი იღებენ 100 დოლარს, მსუბუქ მანქანაში — 500 ათას რუბლს, ხოლო სატვირთოში — ორიდან ხუთ მილიონამდე რუბლს, სამხედრო ალჭურვილობა გადააქვთ „შკოდას" მარკის ავტომობილებით, რომლებსაც „ტირ"-ის, „მაზ"-ისა და „კამაზ"-ის საერთაშორისო ნიშნები უკეთია. თანხმლებ დოკუმენტებში ეს ტვირთი მოხსენიებულია როგორც ავეჯი, სასურსათო პროდუქტები, ტანსაცმელი...

აღნიშნულია ისიც, რომ აფხაზეთის ტერიტორიას კვლავინდებურად იყენებენ ჩეჩენი „ბოევიკები" იარაღისა და ტყვია-წამლის მისაღებად. ყოველივე ეს აფხაზეთში შემოდის ზღვიდან და შემდეგ მთებს გადაღმა სხვადასხვა საშუალებებით იგზავნება დანიშნულების ადგილებში. სპეცსამსახურების მონაცემებით, უკანასკნელ ხანს მკვეთრად გახშირდა „მი-8" შვეულმფრენების რეისები ინგუშეთსა და დაღესტნის ტერიტორიიდან აფხაზეთის, კერძოდ, აგუძერის მიმართულებით.

დუდაევის ფორმირებისათვის განკუთვნილი ფინანსური სახსრები ჩეჩნეთში ხვდება კომბინირებული გზით საბანკო არხების, მერე კი შიკრიკების მეშვეობით. „ფულის არხების" ერთ-ერთი ორგანიზატორია ბაქოს მცხოვრები მ. ა. (დოკუმენტში სახელი და გვარი სრულად არის მოყვანილი), აზერბაიჯანელი, „მაჰმად წინასწარმეტყველის" სექტის მიმდევარი.

მიწოდების სქემა დეტალურად არის დამუშავებული. მაგალითად, „ჯამა ჰათის" ბატალიონი, დოკუმენტის შემდგენელთა აზრით, ფინანსირდება მსოფლიო ისლამური ბანკის მეშვეობით, აქედან სახსრები გადაირიცხება აზერბაიჯანის ბანკებში, ნაღდდება და შიკრიკების ხელით დაღესტნის ტერიტორიიდან იგზავნება ჩეჩნეთში.

## საზარბაზნე ხორცი და თეთრი ძვალი

**ჩეჩენთა** უკანონო შეიარაღებული ფორმირებების რაზმებში, მოხსენების ავტორთა აზრით, ყველაზე იაფად ფასობს ადგილობრივი ახალგაზრდობა, რომელიც ძირითადად თოფ-იარაღს ფლობს და ფედერალურ ჯარებს ებრძვის პატრიოტიზმის გრძნობით, თვეში 200 დოლარად. იმ „ბოევიკების" შრომა, ვინც საგანგებო ბანაკებში გაიარა მომზადება, და მეტწილად დაქირავებულთა მომსახურება უფრო ძვირად ფასდება — ორიდან ხუთი ათას დოლარამდე პლუს საპრემიო გასამრჯელო ყოველი აფეთქებული ტანკის, მოკლული ოფიცრისთვის. სპეციალისტთა სამსახური გაცილებით უფრო ძვირად ფასობს.

თავის მებრძოლთა მომზადების ხარისხს დუდაეველთა სარდლობა უაღრესად დიდ ყურადღებას უთმობს. მათი კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე მოქმედ ბა- [illegible] ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით წვრთნას გადის რამდენიმე ასეული „ბოევიკი".

როგორც მოხსენებაშია ნათქვამი, ჯერ კიდევ ომამდე, აზერბაიჯანში, ალდამის რაიონში, მომზადდა მოხალისეთა ორი ბატალიონი. დეკემბერში ისინი ჩეჩნეთს გაეშურნენ.

ამჟამად მიმდინარეობს მფრინავთა სწავლება „დუდაევის არმიის" სამხედრო-საჰაერო ძალებისათვის, რომლებიც ახლა იქმნება, რამდენიმე ჩეჩნური ეკიპაჟი აზერბაიჯანის ჩრდილო-დასავლეთის ერთ-ერთ აეროდრომზე საჰაერო ბრძოლის ხერხებს ეუფლება. ამავე რესპუბლიკაში, ზაქათალაში არსებობს ბაზა, სადაც „ბოევიკებს" აბინავებენ. ჩეჩნეთში მათს გადაგზავნას უძღვება „დუნიავი ბოზ ლურდის" ერთ-ერთი ხელმძღვანელი — დ. მ.

1995 წლის ნოემბრიდან თებერვლამდე სიმფეროპოლის და ბალჩისარაის მახლობლად ყირიმელი თათრების ბანაკებში დივერსანტულ მომზადებას გადიოდნენ ახალგაზრდა, 18 წლამდე ასაკის ჩეჩენი ჭაბუკები, შესაბამისად 30 და 40 კაცი. მათი გამოყენება სურთ ტერორისტული აქტების მოსაწყობად რუსეთის ტერიტორიაზე.

მოხსენებაში არის მონაცემები ჩეჩნეთის ომისათვის კადრების მომზადების სხვა უფრო შორეული ცენტრების შესახებაც. მაგალითად, თურქეთში — ტრაპიზონის და ანკარის მახლობლად.

1995 წლის 4 სექტემბრამდე არსებობდა „ბოევიკთა" მომზადების ბაზა ავღანეთის ქალაქ ზიარაჯში. შემდეგ იგი ირანში გადაიტანეს ქალაქ გორგანის მიდამოებში. თუმცა, ავღანეთის ტერიტორიაზე საწვრთნელი ბანაკები კიდევ მრავლად დარჩა, მაგალითად, ქალაქებში ვარსაჯსა და ჯაბალ-უსსარაჯში. აქ პაკისტანელი, საუდელი და სუდანელი ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით მხედრულ ხელოვნებას ეუფლებიან არა მარტო დუდაევის „ბოევიკები", არამედ ცენტრალური აზიის სახელმწიფოთა მოქალაქენი, რომლებიც შემდეგ ჩეჩნეთსა და ტაჯიკეთში იგზავნებიან. ქალაქ ხოსტის მახლობლად მდებარე ბაზაზე და ალ-ხუნდანის ბანაკში უკვე ორმოცამდე ჩეჩენმა გაიარა მზადება. სხვათა შორის, შამილ ბასაევი შარშან ორჯერ იყო ავღანეთსა და პაკისტანში თავის მებრძოლთა სწავლების პროგრამების კორექტირებისათვის.

რუსეთის სპეცსამსახურები ეჭვობენ, რომ 1995 წლის დეკემბერში პაკისტანში შეიქმნა ცალკე ბაზა ტაჯიკ ბოევიკთა მოსამზადებლად. ამჟამად აღნიშნულ ბაზაზე გადის წვრთნას 250 ჩეჩენი, ეგვიპტელი და სუდანელი ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით. წვრთნის კურსი სამი და ექვსი თვით არის გათვალისწინებული. ძირითადი ყურადღება ეთმობა სნაიპერულ მომზადებას და დივერსანტთა სწავლებას.

აქამდე პაკისტანში გადამზადებას გადიოდა ორი დივერსიული ჯგუფი, თითოეული 50 კაცის შემადგენლობით. ჩამოყალიბდა აგრეთვე ჯავშანტექნიკასთან მებრძოლი სპეციალური რაზმი — 40-40 კაცი ჩეჩნეთის თითოეული რაიონიდან.

მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, დუდაევი, მოგვიანებით კი იანდარბიევი, რომელმაც იგი შეცვალა, [illegible] სხვადასხვა ოლქებიდან და საზღვარგარეთიდან. არის ფაქტები, როდესაც ჯარისკაცებსა და ოფიცრებს ქირაობენ ფედერალურ ჯარებში, აგრეთვე თადარიგის სამხედრო მოსამსახურეთაგან.

მაგალითად, საკმაოდ წარმატებით მოქმედებენ დუდაეველთა ემისრები არხანგელსკში, ბლაგოვეშჩენსკში, კოსტრომაში, ნიჟნი ტაგილში, ორენბურგში, ფსკოვის, სვერდლოვსკის ოლქებში, ტაგანროგში, უფაში...

უზბეკეთის ვაჰაბიტები ჩეჩნეთში ხელის გამოლების მსურველებს ეძებენ უმუშევარ ახალგაზრდობას შორის, რომელთაც გამოვლილი აქვთ ჯარი. არის შემთხვევები, როდესაც დუდაევთან კონტრაქტით სამუშაოდ მიდიოდნენ ყოფილი საბჭოთა შუა აზიის რესპუბლიკების რუსულენოვანი მოქალაქენი, რომლებსაც დეფიციტური სამხედრო სპეციალობები აქვთ.

ავღანეთში შეიხი მუჰამედ აი აუნდი ამზადებს მოხალისე თალიბებს თურქეთიდან ჩეჩნეთში გასაგზავნად.

1995 წლის დეკემბრის მეორე ნახევარში დუდაევის დასახმარებლად გაეშურა 500-მდე „ბოევიკი", — ჩეჩნები და ავღანელები, რომლებიც მოამზადეს „ხესბოლახის" და „მუსლიმი ძმების" სუდანის ბაზებში.

დოკუმენტში მოყვანილია საბრძოლო მოქმედებაში დაქირავებულთა მონაწილეობის კონკრეტული მაგალითებიც.

1994 წლის დამლევს ესტონეთის „კაიტსეილიტის" ორგანიზაციამ ჩეჩნეთში გაგზავნა ასამდე კაცი. ამავე წლის პირველ ნახევარში დუდაევის მხარეზე მოქმედებდა 12-კაციანი ჯგუფი, რომელიც უკრაინის ნაციონალისტურ ორგანიზაციებს ეკუთვნოდა. მათგან შვიდნი ფედერალურ ჯარებთან შეტაკების დროს დახოცეს, ორი დაატყვევეს.

1995 წლის დეკემბრის დამლევს „უკრაინის ეროვნული ასამბლეის" ასამდე ბოევიკი ბაქოსა და დარუბანდის გავლით ბამუტში ჩავიდა. მათ უმრავლესობას აფხაზეთის ომის გამოცდილება აქვთ.

ორეხოვოს მახლობლად იმყოფება დაქირავებულთა რაზმი — დაახლოებით ოთხმოცი კაცი. მათგან რვანი არიან დიდი ბრიტანეთის ქვეშევრდომები — „შოტლანდიელები", ერთი საუდის არაბეთის მოქალაქეა, თურქები — ამ ქვეყნების ყველა წარმომადგენელმა საუცხოოდ იცის რუსული. გარდა ამისა, ჯგუფში შედიან უკრაინელები, ბალტიისპირელები, რუსები.

ვაჰაბიტების დაჯგუფება „ჯამაათი" (300 კაცი) ერთ-ერთ ყველაზე საშიშ რაზმად ითვლება. იგი ძირითადად შედგება ჩეჩნების — იორდანიის, ლიბანის, თურქეთის მოქალაქეებისაგან...

ვაჰაბიტთა კიდევ ერთ რაზმს (ასევე დაახლოებით სამასკაციანს), მეთაურობს ვინმე აბუბაქარი საუდის არაბეთიდან. აქამდე იგი დაქირავებულთა „ფათხის" ბატალიონს სარდლობდა.

აზერბაიჯანის ბელაქანის რაიონში „დუნიავი ბოზ ლურდის" განყოფილებამ ჩამოაყალიბა დაქირავებულთა რაზმი, რომელშიც დაახლოებით 150 კაცი შედის.

სოფელ ყარაჩოის მიდამოებში დაბანაკდა საუდის არაბეთიდან ჩამოსული „ბოევიკთა" ჯგუფი — 15 კაცი. ამდენივენი არიან ავღანელი მოჯაჰედებიც, რომლებიც წინათ ავღანეთში ომობდნენ საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ, და ახლა ცავედენოს მახლობლად არიან დისლოცირებულნი.

ეს დოკუმენტი არ შეიცავს რაიმე კონკრეტულ დასკვნებსა და წინადადებებს, თუმცა სავსებით შესაძლებელია, რომ არსებობს კიდევ უფრო საიდუმლო დანართები, სადაც ყოველივე ეს არის. იმის შესახებ, თუ როგორ იქნა გამოყენებული „მოხსენება" — ანალიზი" და რა ღონისძიებანი განხორციელდა მას- [illegible]

# რამდენი ადამიანი დაიღუპა ჩეჩნეთში?

## ჩასაფრება

**თითქმის ერთი წლის მანძილზე ჩეჩნეთის ომში მყოფი 245-ე ნაკრები პოლკის ზურგის რაზმი ლაშქრობაში იყო. მის შემადგენლობაში შედიოდა 199 კაცი: 29 ოფიცერი, 17 პრაპორშჩიკი და 153 ჯარისკაცი და სერჟანტი. ქვედანაყოფს მეთაურობდა პოლკის უფროსის მოადგილე, მაიორი ტერზოვეცი.**

ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის მონაცემებით, იარიშმარდთან ჩასაფრებული იყო შამილ ბასაევის 200-მდე ბოევიკი. სხვა წყაროები ამბობენ, რომ მოქმედებდა ცნობილი საველე მეთაურის რუსლან გელაევის ხალხი. მაგრამ ერთ რამეში კი ყველანი თანხმდებიან — ოპერაციას ავღანელი მუჯაჰედინები მეთაურობდნენ. კოლონის დახვრეტა თითქმის სამი საათი გრძელდებოდა. ამ ბრძოლიდან უვნებლად 8-12 მოტომსროლელი თუ გამოვიდა.

## ტვირთი „200"

**დღემდე გაურკვეველია რამდენი თუთიის კუბო, ანდა უბრალოდ ფოლგაში გახვეული გვამი (ჩეჩნეთში კუბოები არ ჰყოფნით) მიიტანეს სამშობლო ადგილებში იარდი-მარდის ყელტის შემდეგ „შავმა ტულიპებმა". ჯერ იტყობინებოდნენ 93 მოკლულის შესახებ, შემდეგ ციფრი 73-მდე შეამცირეს, თავდაცვის მინისტრმა პაველ გრაჩოვმა კი თქვა, რომ 16 აპრილს „მხოლოდ" 53 სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა, 52 კი დაიჭრაო.**

თუმცა, რუსეთის სხვა ადგილებში გროზნოს სამხედრო კომენდატურამ გააგზავნა 163 ტვირთი „200" — ასე უწოდებენ სამხედრო ჟარგონზე დაღუპულებს.

## დანაკარგები

**მაინც როგორია ჩეჩნეთში დაღუპულთა სრული სია? ვიქტორ ბარინკინმა თქვა, რომ ჩეჩნეთის ომის დაწყებიდან დაიღუპა თავდაცვის სამინისტროს 2134 სამხედრო მოსამსახურე. ბოევიკების დანაკარგი „15,5 ათასის ფარგლებშიაო". 1000-ზე მეტი დუდაეველი ტყვედ ჩავარდა.**

და მაინც, რამდენი ადამიანი დაიღუპა ჩეჩნეთში? გადამდგარმა გენერალმა ალექსანდრე ლებედმა ახლახან დაასახელა ასეთი ციფრები: ფედერალური ჯარების სამხედრო მოსამსახურეთაგან დაიღუპა 6-7 ათასი კაცი. დაიღუპა 70-80 ათასი ჩეჩენი მშვიდობიანი მოსახლეობის ჩათვლით. მსხვერპლი გამუდმებით იზრდება.

გაზ. „არგუმენტი ი ფაქტი".

# დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი

**კრემლში ორშაბათს გამართულ მოლაპარაკებაზე რუსეთის დელეგაციაც და ზელიმხან იანდარბიევის დელეგაციაც ერთ მიზანს ისახავდნენ — შეწყდეს ცეცხლი, საომარი მოქმედება ჩეჩნეთში. ხელი მოაწერეს მორიგებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.**

ხელმოწერამდე ჩეჩნეთის დელეგაციამ დაახლოებით 20 წუთი მოითხოვა თავის წინადადებათა ფორმულირებისათვის. რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი, რომელიც რუსეთის დელეგაციას მეთაურობს, ამას დაეთანხმა და ეს დრო მისცა.

ოცწუთიანი შესვენების შემდეგ მოლაპარაკება განახლდა და წარმოდგენილი იყო მორიგების შემაჯამებელი ვარიანტი, რომელიც შეიცავს რუსეთის მხარის ყველა წინადადებას. მორიგებაში, კერძოდ, შეტანილია სამი პუნქტი, რომლებიც ხელმოწერის დროს ბორის ელცინმა წაიკითხა. საქმე ეხება 1996 წლის 1 ივნისის 00 საათიდან ცეცხლისა და საომარი მოქმედებების სრული შეწყვეტის უზრუნველყოფას, ხელმოწერის მომენტიდან ორი კვირის განმავლობაში ყველა ძალდატანებით დაკავებული პირის განთავისუფლების უზრუნველყოფას, აგრეთვე, მოლაპარაკების კომისიების მუშაობის განგრძობას.

ხელმოწერილი მორიგებით, ჩეჩნეთში კრიზისის მოწესრიგების ყველა საკითხი არ მოხსნილა. ამასთან, დაკავშირებით, იანდარბიევის დელეგაციის წევრები მოსკოვში დარჩნენ და მოლაპარაკება გაგრძელდა კომისიათა ფარგლებში.

მოლაპარაკების დროს ზელიმხან იანდარბიევმა მტკიცედ განაცხადა, რომ იგი „იმის გარანტიას იძლევა, რომ ცეცხლი ჩეჩნეთში არ განახლდება", რომ ყველა საველე მეთაური შეასრულებს მის ბრძანებას.

როგორც ცნობილია, ბორის ელცინი მორიგებაზე ხელმოწერის შემდეგ ჩეჩნეთში ჩავიდა.



განათლება

# ველით ნიჭიერ, გამრჯე ახალგაზრდებს

ჩვენი კორესპონდენტის შეკითხვებს უპასუხებს ბიზნესის ორგანიზაციისა და ტექნოლოგიის ინსტიტუტის რექტორი, სოფლის მეურნეობისა და ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი.

**— ბატონო ომარ — უკვე მეხუთე წელია, რაც შეიქმნა ფასიანი სწავლების სისტემა, ამის თაობაზე მრავალი მოსაზრება გამოითქვა, მაგრამ მეტ-ნაკლებად განსხვავებული აზრი მაინც არსებობს.**

**ამ პრობლემასთან დაკავშირებით გთხოვთ, როგორც ცნობილმა მეცნიერ-ეკონომისტმა და, ამასთან, პუბლიცისტმაც, — გააშუქოთ რამდენიმე საკითხი, რომლებიც საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევს.**

**რამ განაპირობა ფასიანი — საერო უმაღლესი სასწავლებლების ჩამოყალიბება?**

— ამ კითხვაზე პასუხს თვით ცხოვრება იძლევა. მართალია, ცივილიზაციის თანამედროვე ეტაპისათვის ძალზე დაგვიანებულმა, მაგრამ მაინც დროულმა საბაზრო ურთიერთობებმა ახლებური მოთხოვნები და მოტივაციები წაუყენა ჩვენთან ცალკეულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესს. ერთ-ერთია დამოუკიდებლობის (საერთოდ და საქმიანობის თითოეულ უბანზე) აღიარება და დაკანონება, რომელიც უთუმცაოდ გულისხმობს საკუთრების სხვადასხვა ფორმის (სახელმწიფო, კერძო და სხვა) თანაბარუფლებიანობას.

თვით დამოუკიდებლობის (კონკრეტულად კერძო საკუთრების) ამოსავალი მოტივაცია ბიზნესური გააზრებით მოგების მიღებაა.

საბაზრო ურთიერთობების მექანიზმის დამახასიათებელი სპეციფიკა ის არის, რომ ეს ურთიერთობები მნიშვნელოვანწილად ათავისუფლებს სახელმწიფოს საყოველთაო და დიდმასშტაბური დაფინანსების მძიმე უღლისაგან და ამას თვითონ არეგულირებს.

ამრიგად, კერძო საკუთრებითი და საბაზრო ურთიერთობები და ფასიანი სწავლების სისტემა, როგორც მისი აუცილებელი ელემენტი, თვით ეკონომიკისა და ეკონომიკური პროცესების განვითარების ნაყოფია.

**— როგორი ტენდენციები შეიმჩნევა კერძო — საერო უმაღლესი სასწავლებლების ფუნქციონირებაში?**

— როგორც ირკვევა კერძო უმაღლესი სასწავლებლების ნაწილი, ასე ვთქვათ, მოგის აყოლის მიზნით დააფუძნეს, ამიტომაც ერთი პერიოდი მათი მოზღვავება იყო. ამას ბევრი სუბიექტური და ობიექტური მიზეზი განაპირობებდა, თუმცა არ შეიძლება არ ითქვას, რომ მოგის აყოლის შედეგად ბევრი უღირსი ადამიანი, ვისაც არც მეცნიერული, არც პედაგოგიური გამოცდილება, არც კომპეტენცია, არც მორალური უფლება გააჩნდა, ინსტიტუტის დამფუძნებლად, ან რექტორებად მოგვევლინენ. ყოველივე ამან, ასე თუ ისე, უარყოფითი შედეგები გამოიღო, მოტყუვდნენ ახალგაზრდები, მათი მშობლები.

ამღვრეულმა წყალმა თითქმის ჩაიარა. უკვე ძალზე მკაცრად და ულმობლად დაიწყო კერძო სასწავლებლების ფუნქციონირების თვითრეგულირების ეტაპი.

თანდათან იკვეთება რამდენიმე სასწავლებლის როლი და ავტორიტეტი, იხვეწება მათი საქმიანობის სისტემა, ფორმები, ფართოვდება გამოცდილება.

**— როგორ აუბეს მხარი საერო უმაღლესმა სასწავლებლებმა კონკურენციას?**

— კერძო სექტორი კონკურენციის ულმობელ კანონებს რომ ემორჩილება, ეს ცხადია. კონკურენცია ამინდს უქმნის მათ, ჩვენთან კი როგორ გაიგეს ეს? შარშან კერძო უმაღლესი სასწავლებლების რექტორთა საბჭომ რეკომენდაცია მისცა ასეთ სასწავლებლებს, რომ სწავლის წლიური საფასური 100 დოლარის ეკვივალენტურ ეროვნულ ვალუტაზე დაბალი არ უნდა დაეწესებინათ, ზოგიერთმა კი იმისათვის, რომ მეტი კონტინგენტი მიეზიდა, ეს თანხა გაანახევრა. ამით თავის თავსაც გაუწია მტრობა და სხვასაც. რაც გინდა ეკონომიკური გათვლებიც არ უნდა გააკეთო, ასეთი მცირე საფასურით უმაღლესი სასწავლებელი დამოუკიდებლად ვერ იარსებებს.

როგორც ჩანს, მალე დარეგულირდება საერო უმაღლესი სასწავლებლების ფუნქციონირების პროცესი. ბევრი მათგანი უკვე აღარც არსებობს, ბევრიც არაპერსპექტიულობის გამო მალე შეწყვეტს საქმიანობას. ალბათ მოხდება კონტიგენტის გადანაწილება. რამდენიმე, ძლიერი და მტკიცე ნიადაგზე მყოფი საერო უმაღლესი სასწავლებელი კი კიდევ უფრო გაშლის ფრთებს.

ამასთან, სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების კონტიგენტის დიდი ნაწილი ალბათ ფასიან სწავლებაზე გადავა, იმის გამო, რომ სახელმწიფო ბიუჯეტს გაუჭირდება სწავლების ისეთი მასშტაბებით დაფინანსება, როგორც ეს ძველად ხდებოდა.

საინტერესო საკითხია სპეციალობების პერსპექტიულობა.

საერო უმაღლეს სასწავლებლებში ბევრი ახალი პროგრესული სპეციალობაა შემოღებული, მაგრამ ეკონომიკის განვითარებას და შიდა ეკონომიკურ პოლიტიკას აქაც შეაქვს კორექტივები. მაგალითად, იმის გამო, რომ მოუქნელია ფასწარმოქმნის სისტემა და საგადასახადო მექანიზმი, ამასთან სხვა ხელშემშლელი მიზეზების გამო, სანახევროდაც აღარ გამოიყენება კახეთის რეგიონის მდიდარი ნიადაგურ-კლიმატური პოტენციალი, ხელიდან გვეცლება დიდი ტრადიციების მქონე მევენახეობა და მეღვინეობა. ამან გავლენა იქონია იმაზე, რომ აბიტურიენტებს სურვილი აღარა აქვთ დაეუფლონ ამ სპეციალობებს; საქართველოსათვის ყოვლმხრივ მომგებიანია ტურიზმი და საკურორტო მეურნეობა — ამ ბიზნესის მომავალი წარმატების მომტან სფეროებს ჯერ ხელშეწყობა არა აქვს, ამიტომ აბიტურიენტებიც თავს იკავებენ ამ სპეციალობაზე. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ საჭიროა ახალგაზრდობის სწორი პროფესიული ორიენტაცია.

**— რა სპეციალობები გაქვთ თქვენს ინსტიტუტში?**

— წელს ინსტიტუტს პირველი გამოშვება აქვს. კმაყოფილები ვართ, რომ აბიტურიენტები მეტნაკლებად სწორად ირჩევენ სპეციალობებს. თუმცა წლების განმავლობაში ხდებოდა ამა თუ იმ სპეციალობის პრიორიტეტულობის დონეთა გადანაწილება. საერთოდ, სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგების შეფასების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, 4-5 წლის უკან უპირველესად აყენებდნენ სპეციალობებს: საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ორგანიზაცია და მენეჯმენტი; ღვინის, საკონსერვო, ხორცისა და რძის, პურ-პროდუქტებისა და საკონდიტრო მრეწველობის და კვების მრეწველობის სხვა ქვედარგების ტექნოლოგია და მენეჯმენტი; საფინანსო-საბანკო მეურნეობის ორგანიზაცია და მენეჯმენტი. მოსწონდათ აგრეთვე სამართალმცოდნეობის სპეციალობა.

გასული წლიდან კი პრიორიტეტს სამართალმცოდნეობის (იურისტის კვალიფიკაცია) და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ორგანიზაციისა და მენეჯმენტის სპეციალობებს ანიჭებენ. მეორე რიგშია: საფინანსო-საბანკო მეურნეობის ორგანიზაციისა და მენეჯმენტის, კომერციული და საბირჟო საქმის ორგანიზაციისა და მენეჯმენტის, კვების მრეწველობის ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის (ხორცისა და რძის, პურ-პროდუქტების, ღვინის და სხვა ქვედარგების მიხედვით) სპეციალობები. მესამე რიგშია: აგროსამრეწველო წარმოების ორგანიზაციისა და ბიზნესის და საკურორტო და ტურისტული მეურნეობის ორგანიზაციისა და მენეჯმენტის სპეციალობები.

წელს პირველად გამოვაცხადებთ მიღებას ახალ სპეციალობაზე: ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაცია და მენეჯმენტი (სამედიცინო და ეკონომიკური განათლებით). განაცხადები უკვე გვაქვს, ეს სპეციალობაც უდაოდ დააინტერესებს აბიტურიენტებს.

ჩვენი მისამართია: ჩიქოვანის (ყოფილი ხილიანის ქ.) № 26, 150-ე სკოლის შენობა, ტელ.: 36-44-60, ან 22-64-24 (რექტორატის).

ასე რომ, ველით ნიჭიერ, გამრჯე ახალგაზრდებს.

# სიღნაღში, სამეცნიერო სესიაზე

**საქართველოს** მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიღნაღის ფილიალი 31 მაისიდან 2 ივნისამდე სიღნაღში მართავს სამეცნიერო სესიას **პერიოდობითი ისტორიული წყაროების შესწავლის აქტუალურ საკითხებზე.**

სხდომები ჩატარდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიღნაღის ფილიალში.

სამეცნიერო სესიას გახსნის აკადემიკოსი როინ მეტრეველი. სესიის მონაწილეებს მიესალმებიან აკადემიკოსი ანდრია აფაქიძე და სიღნაღის რაიონის გამგებელი ვაჟა ცაბუტაშვილი.

მოხსენებებს წაიკითხავენ: კ. წერეთელი, მ. ლორთქიფანიძე, გ. ანჩაბაძე, ე. ხოშტარია-ბროსე, რ. მირიანაშვილი, ა. გელაშვილი, ა. ბაქრაძე, გ. ბერიძე, გ. ელიავა, დ. ნინიძე, მ. სანაძე, მ. ბერძენიშვილი, მ. ჩხარტიშვილი, გ. ოთხმეზური, ლ. ახალაძე, ფ. სიხარულიძე, კ. ტაბატაძე, თ. ჩხეიძე, ც. აბულაძე, ნ. ხაზარაძე, გ. ჯაფარიძე, ლ. [illegible]ავლიანიძე, მ. აბაშიძე, ა. სვანიძე, ვ. სილოგავა, ე. ბელაკონი, [illegible] გურგენიძე.

გაიმართება მოხსენებათა განხილვა.

### ლტოლვილის სვეტი

# „...სამაჩაბლოში ქართლის ცრემლია“

**ასეთი** სათაური აქვს მის პირველ წიგნს, დევნილობაში რომ გამოსცა. „ლტოლვილი მქვია“ — კი სულ ახლახან გამოვიდა, (ორივე წიგნის რედაქტორი პოეტი მზია ხეთაგურია) ესაა ადამიანური ტკივილით, სიხარულით სავსე ლექსები, სუნთქვისშემკვრელი მეტაფორები, ეჭვი, მონანიება... დევნილობის მარტოსულობა და უსახური, თეთრი მელანქოლია...

**შოთა დარბუაშვილი** — ახალგაზრდა ნიჭიერი კაცი, პოეტი, ფილოლოგი, ცხინვალის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „ბონვარონის“ სოლისტი, შემდეგ — მხატვრული ხელმძღვანელი. იქ ქართული ხალხური ანსამბლის „ლიახვის“ დამფუძნებელი, ჩვენი მაშინდელი საოლქო ქართული გაზეთის ხშირი სტუმარი და მეგობარი, წრფელი, ულალატო პიროვნება, ცხინვალში დაბადებული და გაზრდილი, ქალაქის კოლორიტი და ლაზათი...

1991 წლის იანვრის სუსხიან დღეს სხვა ქართველებთან ერთად იძულებული გახდა დაეტოვებინა ქალაქი. ავადმყოფი მამა — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ვანო დარბუაშვილი სარეცელს მიჯაჭვული დატოვა. იგი მალევე გარდაიცვალა.

სევდით, იდუმალებით გავსებულ პოეტის ლექსებს, ყოველ სტრიქონში მშობლიური ქალაქის მონატრება რომ არის გაჯერებული. ლიახვის სუნთქვა იგრძნობა რიტმში. ბატონი შოთა სამი შვილის მამაა და ყველაზე დიდი, ტკივილიანი განცდა ლტოლვილი ბავშვების შეხედვაზე უმძაფრდება:

შოთა დარბუაშვილი

**სახლებს იშენებენ ლტოლვილი ბავშვები,**
**მიწაზე ლოგინად ქაღალდი დაუგიათ,**
**ქვებით გაუწყვიათ ოთახი რამდენი,**
**ცხინვალზე ოცნების კოშკები აუგიათ.**

დიდი სიყვარულით იგონებს ხალხური ანსამბლის „ლიახვის“ წევრებს, თავის მეგობრებს — აწ დაღუპულ ვალერ ბაბუციძეს, ტრაგიკულად დაღუპულ მომღერალს ვალერი საგკაევს, გივი კახნიაშვილს, დათო ელბაქიძეს, ედუარდ კეკოშვილს, ოს მეგობრებს — ვადიმ ხარებოვს, გოგი გურმაზოვს... ჩემი ბიჭები — ასე ამბობს მათ ხსენებაზე და გვჯერა, რომ ხელოვნებას ნაზიარებ ადამიანს სული სუფთა და მაღალი რჩება თვით უმძიმესი განსაცდელის წუთებშიც...

— ცხინვალის ქუჩები მენატრება. იქაური ჰაერის გემო, აქაც ვეძებ, ნაცნობ სახეებს დავეძებ უნებურად. ერთადერთი, რასაც ვსაქმიანობ, ლექსებია, ვწერ, ვმუშაობ. სიზმრადაც ჩემს მშობლიურ ქალაქს ვხედავ, ჩემს ბავშვობას და სიჭაბუკეს ვეფერები შორიდან. გულით და სულით ვესწრაფვი იქ დაბრუნებას.

დღეს და ღამეს გარჯაში ასწორებს ბატონი შოთა. ოჯახს ბევრი რამ სჭირდება. პოეტი ფიზიკურ შრომასაც კი არ თაკილობს. მეუღლე — ქალბატონი შანანაც გვერდში უდგას და, რამდენადაც შეუძლია, ცდილობს მშობლიურ ქალაქს შეუნარჩუნოს პოეტი, შემოქმედი კაცი. ცხინვალს ხომ უამრავი ლექსი მიუძღვნა პოეტმა.

უხარია, რომ შეიქმნა შიდა ქართლის მწერალთა რეგიონული ორგანიზაცია. ეს იქაური შემოქმედი ხალხისათვის სტიმულის მიმცემია. ამაზე ხომ ყველა თაობის იქაური ქართველი კაცი ოცნებობდა. მადლობა ბატონ გურამ ფანჯიკიძეს ასეთი დიდი ყურადღებისათვის, ეს მოვლენა მეტად დიდმნიშვნელოვანია და დიდი როლიც უნდა შეასრულოს იქ მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებშიო — გულწრფელად ამბობს.

ცხინვალში, ალბათ, ისევ ისეთი ჩვეული გაზაფხული დგას, ჰაერიც კამკამაა და გამჭვირვალე, დილა-საღამოს ჯავის მხრიდან მონაბერ ნიავს თითქოს მინერალური წყლების სურნელიც მოაქვს, მწვანით დაბურული ტყეებისა და ნემოს სურნელი...

იქ, იმ ნატანჯ ქალაქში ბუდობს მამის უნახავი საფლავი, დღის ლოდინით დაღლილი თვალებით. თავისი ბავშვობის უდარდელი დღეები და იმედი, რომ გამოიდარებს შრიალობა, რომ სული ისე დაიღალა დევნილობაში, იმის იქით უკვე სიცარიელეა. გული მიუხმობს და ქალაქიც იქიდან ეძახის თითქოს, რომ კვლავ გულში ჩაიკრას თავის უბეში დაზრდილი, ბუდეაშლილი უსაყვარლესი შვილები.

**აგისრულებოდეს!**

ლია ჭილლაძე.

### ცხელ გულზე

# როგორ დალია ვახტანგ გოგუაძემ ანაბარი ლუდი და როგორ გახდა მგელზე უარესი...

... **ვისაც** გაზეთ „შანსის“ 56-ე ნომერში ბატონ ვახტანგ გოგუაძის ესსე „გია ჭანტურია“ არ წაუკითხავს, გირჩევთ, წაიკითხოთ, რათა გულწრფელად გაოგნდეთ საქართველოს პარლამენტის წევრის, გუშინდელი სპიკერისა და ქვეყნის ერთ-ერთი ხელმძღვანელის სწორუპოვარი „მიგნებებით“.

აბა, კარგად მოვისმინოთ:

**„... დღეს ვისაც განგაშის გრძნობა არა აქვს, მას ქვეყნის ბედი სრულიადაც არ აღელვებს“.**

**„გია ჭანტურიას მძაფრად ჰქონდა თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ჟინი. რუსეთის იმპერიიდან, საბჭოთა იმპერიიდან საქართველოს გამოყვანა მას მიაჩნდა ჩვენი ქვეყნის თავისუფლების, დამოუკიდებლობის საფუძვლად. მაგრამ მე არ მსმენია გიასათვის ვინმეს გაებედოს, თუნდაც ხუმრობა — მოდი, რუსეთის კოლონიური სივრციდან გამოვიყვანოთ საქართველო, ახალ კოლონიად მივუმაგროთ რომელიმე ქვეყანას ან საერთაშორისო ძალებსო. ამ წელიწადნახევარში, რაც შენ წახვედი, ჩემო გია, საოცრად ბევრი რამ შეიცვალა ან იქნებ უფრო შესამჩნევი გახდა ის, რასაც ვერ წარმოვიდგენდით, რასაც ვერ დავუჯერებდით შავი ეპოქის მემატიანესაც“.**

ბატონო ვახტანგ! — ასე ქვეყნის პოლიტიკაზე საუბარი, რუსეთთან და სხვა ქვეყნებთან „თამაში“ რომ არ შეიძლება, თქვენ არ გვეუბნებოდით გუშინ?, „დსთ“-ში შევიდეთ და რუსეთს ისე ველაპარაკოთ, როგორც დიდი ილია ჭავჭავაძე ელაპარაკებოდაო, — თქვენ არ გვმოძღვრავდით? როდის უფრო მაგრად გვატყუებდით, ბატონო ვახტანგ, მაშინ თუ ახლა?

**„მე ვერ წარმომიდგენია გაჩუმებული გია ჭანტურია მშვიდად უყურებდეს, როგორ იყიდება საქართველოს მიწა-წყალი, ტყე და წიაღისეული — „იყიდება საქართველო“... ფანტაზიაში ვერასგზით ვათავსებ დღევანდელ სინამდვილეს და გია ჭანტურიას ერთად. ეს სინამდვილე ასე ვერ გათამამდებოდა ქვეყნის დასაქცევად“.**

ბატონო ვახტანგ! — წელიწადნახევრის წინათ, როცა ნაძირალებმა გია ჭანტურია ჩაცხრილეს, მერე სხვებიც (და ლამის მთელი საქართველო შედ მიაყოლეს), უფრო კარგი სინამდვილე იყო, ვიდრე დღეს? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ტერორისტები ხომ მხილებული არიან, მძარცველთა კორპუსი დაშლილია, სახელმწიფოს წინააღმდეგ დაგეგმილი შეთქმულება გამოაშკარავებულია, და, რაც მთავარია, ბრძოლა არ შენელებულა... თქვენ რა, ამას ვერ ხედავთ? ან საქართველო იყიდება! — პირველკურსელებს ნაბაძუსევზე ლექციას ხომ არ უკითხავთ? თუ ახლახან მიწის შესახებ მიღებული კანონის ავტორები თქვენზე ნაკლები პატრიოტები არიან? თქვენ ხომ გუშინ მხარს უჭერდით თავისუფალ საბაზრო ეკონომიკას? თქვენ ხომ ძალიან კარგად იცით, რომ მიწის პრობლემებთან დაკავშირებით რაც გვჭირს, ძირითადად, ჩვენი ბედოვლათობითა გვჭირს — ამას უნდა ვებრძოლოთ და არა ნიშნისმოგებით სახელმწიფოს დღევანდელ ხელმძღვანელობას და საპროგრამო კანონებს ჩავუსაფრდეთ.

**„მე ვერ წარმომიდგენია გაჩუმებული გია ჭანტურია — როგორ იყიდება ჯიშიანი ქართველი საზღვარგარეთ, როგორ გარბის საქართველოდან ყოველი უნარიანი ახალგაზრდა, როგორ იღუპება ერის გენოფონდი. ვერ წარმომიდგენია ბარბაროსული გულქვაობა ცივილიზებულ ტერმინოლოგიაში რომ შეფუთნეს. უწამლობისაგან როგორ შეჰყურებს ავადმყოფი სიკვდილს თვალებში, როგორ ეუბნება მას სამშობლო — მოკვდი, შენთვის არა მცალიაო. რომელ ქრისტიანობაზე, რჯულზე, ადამიანობაზე შეიძლება ლაპარაკი!“**

თქვენ, რა, ბატონო ვახტანგ, დღევანდელობაზე უფრო მეტად გაყიდული ჯიშიანი ქართველი, სამშობლოდან გაქცეული ახალგაზრდა, დაკნინებული გენოფონდი არ გსმენიათ? მთლად გადაშენების პირას მისული, დღევანდელზე უარესად დაქუცმაცებული საქართველო არ გაგიგიათ? ან ვინ უნდა იბრძოდეს ამ ურთულესი, გლობალური პრობლემების მოსაგვარებლად? შემზარავ სურათს რომ ხატავთ, ვის უდგახართ კრიჭაში? მართალია, „უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა“, ბატონო ვახტანგ, მაგრამ არც მარტო წიგნებიდან და აუდიტორიიდან დანახული სინამდვილეა ვარგა. ცხოვრება და, მით უფრო, პოლიტიკა, უფრო სხვა რამე ყოფილა, ვიდრე თქვენ გეგონათ. ან რომელი სამშობლო ეუბნება ავადმყოფს — მოკვდი, შენთვის არა მცალიაო? პარლამენტარი ბრძანდებით, პოლიტიკური კავშირის „თანადგომის“ თავმჯდომარე — თანაუგრძენით ჯანმრთელობის სფეროს, გაიგეთ მაინც კონკრეტულად რა შეუძლებელს აკეთებენ სამინისტროსა და კლინიკებში სოციალურად დაუცველი ავადმყოფების მკურნალობისათვის (არსებობს მთელი ნუსხა იმ დაავადებებისა, რომლებსაც უფასოდ მკურნალობენ) და მერე შეასხით ლაფი ადამიანებზე [illegible] სამშობლოს.

**„რა ჰქვია მას, რომელიც სიკეთეს ბოროტებას არქმევს და ბოროტებას კი სიკეთეს?“** — სვამს კითხვას ცხონებული გია ჭანტურია თავის წიგნში „მოსე“. თქვენ, ბატონო ვახტანგ, ამ ეპოქალურ, ყველა დროისათვის თავსატეხ გამოცანას ასეთ „ლაკონურ“ პასუხს სცემთ: **„რა ქვია და მას დღევანდელობა ჰქვია. მშვენიერი სიტყვა ტერმინები — დემოკრატია, პრივატიზაცია, რეფორმა, საბაზრო ეკონომიკა და სხვა საქართველოს გაუბედურების სატანური საბურველია“.**

გამოდის, რომ კაცობრიობის ისტორია სიკეთესა და ბოროტებას შორის ბრძოლა არ ყოფილა, ბატონო ვახტანგ. ბოროტება აგერ ახლა, მარტოოდენ საქართველოში, პრივატიზაცია-რეფორმების ეპოქაში აღმოჩენებულა და სატანური საბურველი თქვენს გარდა ვერავის დაუნახავს. რა ამაოდ დამშვრალან ყველა დროის გენიოსები, რომლებიც სხვადასხვა ფორმით გვარწმუნებდნენ, — სიკეთეს ძალიან ძვირი უჯდება ბოროტებასთან ბრძოლაო“...

საწყალო საქართველო! — ახალი სახის ბოროტების ფუძემდებელიც რომ შენა ყოფილხარ.

და ბოლოს:

**„ისე კი, ჩემო გია, ჩვენ, ორივენი, შენც და მეც მოგვატყუეს. საქართველო არც დასავლეთით წასულა და არც ჩრდილოეთით, იგი უფსკრულისაკენ წავიდა“...**

ეს უკვე მეტის-მეტია, ბატონო ვახტანგ, პარლამენტში და უნივერსიტეტში, როგორც მაღალ ტაძრებში, სრულიადაც არ ყოფილა ჯანსაღი სულისკვეთება, ჭეშმარიტების განსჯის უნარი. გია ჭანტურია თქვენზე 20 წლით ახალგაზრდა იყო, რადიკალური მოთხოვნებით, განსაკუთრებული პრინციპულობით გამოირჩეოდა და, შესაძლოა, მავანს მართლაც სურდა მისი მოტყუება, მაგრამ, თქვენს ასაკში რომ ასე ცოცხლად თვალებს აუხვევენ და მოატყუებენ კაცს, — პარლამენტის სპიკერს, პროფესორს, დიდაქტიკოსს, თაობების აღმზრდელს, რა ჰქვია ამას? ამას ჰქვია ის, რომ თქვენ მონახეთ ხელსაყრელი ფორმულა, რომელსაც გსურთ ამოეფაროთ, სამართლიანი საყვედურები აიცილოთ და იჯდეთ ამ ფორმულის ჩეროში განაწყენებული კაცი.

მაინც რა ლოგიკით წერთ: **„მაგრამ რწმენა საბოლოო ხსნისა არ ჩაგვქრობია... უფლის ნება დიდია, საქართველო მაინც გადარჩება და შეხვდება „ახალ იერუსალიმს“.** რანაირად გადარჩება, თუ უფსკრულისკენ წავიდა? თუ ღმერთის „საშინელი სამსჯავრო“ წინ არის? თუ კაცობრიობის და, მათ შორის, ქართველების ცხოვრება დღეს არსებობის ღირსი არ არის?

ღმერთს ულოგიკო მსჯელობა რომ არ უყვარს, ბატონო ვახტანგ? სანამ უნდა ვიყოთ იმის იმედად, რომ ღმერთი მაღალია და ყველაფერს გვაპატიებს? ან კი ასეთი მიწიერი გაორების შემდეგ საერთოდ გადმოგვხედავს კი ღმერთი?

სპარტაკ ქოგულია.

**P. S. რაც შეეხება წერილის სათაურს, ჩვენი გაზეთის მკითხველებს განვუმარტავთ: როგორც ბატონი ვახტანგ გოგუაძე ამ ესსეში წერს, 1993 წლის იანვარში მხსთვის გერმანიიდან 20-ლიტრიანი კასრით ლუდი საჩუქრად გამოუტანებიათ სახელმწიფოს მეთაურისათვის. ლუდი მაინცდამაინც არ მიყვარსო, — უთქვამს მას... ერთი კვირის შემდეგ ვახტანგს, გიას, ირინეს და სხვებს ლუდი შეუსვამთ. მეორე დღეს, როცა ეს ფაქტი მოუხსენებია ბატონ ედუარდისთვის, მას ხუმრობით უპასუხია: ანაბარი მგელმაც იცის, შენ მგელზე უარესი ყოფილხარო...**

### სლავა მეტრეველი - 60

# „აი ახლა ბუცებს ჩავიცვამ და...“

**ვიცი,** ამ წერილს წაუკითხავენ სლავა მეტრეველს, თუმცა ქართული თავადაც კარგად იცის — ბოლოს და ბოლოს სოჭში ქართულ სკოლაში სწავლობდა. ამიტომაც მინდა ცოტა ხასიათზე მოვიყვანო დღევანდელი იუბილარი და ჩემი „ეპისტოლე“ მისდამი ხუმრობით დავიწყო.

ხომ გახსოვთ ზესტაფონური: „მასტერავოიმ“ — ჩეიარა?“ ან და მეორე, ისევ იმ კუთხის ხუმრობა: — „ველისაპედმა გეიარა — კაცი თუ იჯდა ზედე?“

დიახ, „მასტერავოიმაც“ ბევრმა ჩაიარა, ველოსიპედის ბორბლებმაც გვარიანად გაცვითეს ასფალტი და, თუ გნებავთ, თვითმფრინავებმაც საკმაოდ ბლომად გადაუქროლეს ჩვენს თბილისს, „ის კაცი“ კი, რომ უნდა მჯდარიყო „ზედე“, არსა და არ ჩანდა. ერთი წელიწადი ვუცადეთ (თუ ვითმინეთ) ქართველმა გულშემატკივრებმა, ორი, სამი, ხუთი, შვიდი და აი, თბილისის „დინამოში“, როგორც იქნა გადმოვიდა ჩვენი სანატრელი სისხლი და ხორცი, ძე კალისტრატესი — სლავა. ჩამოვიდა მშობლიურ მიწა-წყალზე, მეტრეველების გვარის ფესვები რომ აქვს გამდგარი.

პელე, მარადონა, ეუსებიო, დი სტეფანო, კრუიფი, ჩარლტონი, ბეკენბაუერი, მეტიუზი... არა მგონია მათგან რომელიმეს ნებისმიერ კლუბში ისე ელოდნენ გულშემატკივრები, როგორც თავის დროზე — სლავა მეტრეველს თბილისის „დინამოში“.

მაინც რა იყო ს. მეტრეველის ასეთი გაჭიანურებული გადმოსვლა უპირველეს ქართულ გუნდში? ეგებ ბევრმა არ იცის, რომ ამაში თავადაც მიგვიძღვის ბრალი. საქმე ის არის, რომ სლავა ჯერ კიდევ 14 თუ 15 წლისა იყო, როდესაც თბილისში ერთ-ერთ მწვრთნელს შეუმოწმებია და... მტკიცე ვერდიქტი გამოუტანია: „შენგან ფეხბურთელი არ დადგება!“ „სპეციალისტს“ აშკარად თვალში არ მოუვიდა წვრილფეხა კნაჭა ჭაბუკი, სოჭის მცხუნვარე მზის სხივებით რომ იყო გარუჯული ზანგივით. ისე კი, რა იქნებოდა იმ „შემმოწმებელის“ ნაცვლად სლავა მეტრეველი სულმნათ ანდრო ჟორდანიასთან მოხვედრილიყო! იცოცხლე, ის დაადგამდა თვალს უცებვე ამ ნიჭიერ ფეხბურთელს. აკი ხშირად გვითქვამს, რომ „დიავოლა“ (ასე ხუმრობით ეძახდნენ გულშემატკივრები ა. ჟორდანიას) პირდაპირ „კოშებში ატყობდა მომავალ ოსტატს“.

ერთი სიტყვით, განაწყენებულმა და განბილებულმა სლავამ პირი ჩრდილოეთისკენ იბრუნა და სულ სხვა მიმართულებით მიმავალ „მასტერავოის“ მოაჯდა — რუსეთში გაემგზავრა — გორკში. 19 წლის „მზადმზარეული“ ფორვარდი სიამოვნებით მიიღეს იქაურ „ტორპედოში“, რომლის ერთ-ერთი მწვრთნელი ჩვენი თანამემამულე იოსებ მამულაშვილი იყო. სლავამ სულ ერთი სეზონი ითამაშა, მერე ცბიერმა მწვრთნელმა კონსტანტინ ბესკოვმა იყნოსა თავისებურად და უსწრაფესი გარემარბი იმავე სახელწოდების გუნდში, ოღონდ მოსკოვისაში წაიყვანა.

ეს იყო 1956 წლის მიწურულში სლავა მეტრეველმა სულ მალე მოიპოვა კუთვნილი ადგილი თავდასხმის ხაზში დიდებული ედუარდ სტრელცოვისა და ვალენტინ ივანოვის გვერდით.

აი, როდიდან იწყება მეტრეველის გადმოსვლა-არგადმოსვლის „ეპოპეა“, მთელი 7 სეზონი რომ გრძელდებოდა. ყოველ წელს გვესმოდა სეზონის წინ: „გაიგე ახალი ამბავი — მეტრეველი მოდის ჩვენს „დინამოში“! მამამისი დაუნიშნავთ თურმე ფუნიკულიორის რესტორნის შეფ-მზარეულად თუ დირექტორად! სინდისს ვფიცავარ: შოთა შავგულიძემ (ბორის პაიჭაძემ, მიშა მესხმა... გვარები აქ დაუსრულებლად გრძელდებოდა) მითხრა დღეს საიდუმლოდ.

მოგეხსენებათ, 1960 წელი მოსკოვის „ტორპედოს“ არნახული აღზევების სეზონი იყო — მან ჩემპიონობაც მოიპოვა და თასიც (თუმცა ეს ბროლის ჯილდო მან ფინალურ მატჩში თბილისის „დინამოს“ კიეველი არბიტრის ა. ცაპოვეცკის წყალობით წაართვა). მომდევნო წელს ავტოქარხნელთა გუნდიდან წასვლა მოთამაშეთა საკმაოდ დიდმა ჯგუფმა მოინდომა.

— ყველაზე დიდი დანაკლისი ჩვენი გუნდისათვის სლავა მეტრეველის წასვლა იქნებოდა — იხსენებს ტორპედოელთა მაშინდელი კაპიტანი, დღეს კი გუნდის მთავარი მწვრთნელი ვალენტინ ივანოვი — სლავამ რამდენჯერმე წამოიწყო საუბარი იმის თაობაზე, რომ, სულ ერთია, მაინც გაემგზავრება საქართველოში, საიდანაც მას პირდაპირ სეტყვასავით უშენდნენ წერილებს მშობლები. თხოვნა ერთი იყო: „—ჩამოდი სახლში. უშენოდ მოვიწყინეთ, გელოდებით მალე!“ სლავას წამოსაყვანად მოსკოვში საქართველოდან მთელი დელეგაციები ჩამოდიოდნენ — სთხოვდნენ, ემუდარებოდნენ, „ნამუსზე აგდებდნენ“ მშობლიური საქართველოსა და მისი ფეხბურთის წინაშე.

ერთადერთი, რაც ს. მეტრეველს აჩერებდა მოსკოვში, ეს იყო მისი მწვრთნელი ვიქტორ მასლოვი. სწორედ ამ შესანიშნავმა სპეციალისტმა გამოიყვანა სლავა დიდ ფეხბურთში, როგორც თავად ამბობს, „კაცად გახადა“. დააპირებდა ს. მეტრეველი წასვლას „ტორპედოდან“ — ვ. მასლოვი სთხოვდა დარჩენას და... სლავაც რჩებოდა. წავიდა თუ არა ვ. მასლოვი გუნდიდან, სლავას იქ უკვე არაფერი აჩერებდა.

1963 წლის სეზონში სპორტის დამსახურებული ოსტატი სლავა მეტრეველი თბილისის „დინამოში“ გადმოვიდა. რარიგ გაიხარეს ქართველმა გულშემატკივრებმა, რა დიდებული თავდასხმის ხაზი შეიქმნა ჩვენს გუნდში: მეტრეველი-ბარქაია-კალოევი-მესხი. გუნდის უფროსი მწვრთნელი მიხაილ იაკუშინი აღტაცებას ვერ მალავდა და აკი საჩემპიონოდ ამზადებდა „დინამოს“, მაგრამ არ დასცალდა — მომავალი სეზონის დასაწყისში (მეშვიდე თამაშის შემდეგ) იგი გავრილ კაჩალინმა შეცვალა. ახალმა მწვრთნელმა სლავა მეტრეველი თავდასხმის ცენტრში გადაიყვანა კალოევის ნაცვლად. აქაც ივარგა, აქაც დიდად გამოიჩინა თავი და აკი ახალ თანაგუნდელებთან ერთად ის დიდებული ტაშკენტური ოქროს დღე იზეიმა, 1964 წლის 18 ნოემბრით რომ იყო დათარიღებული კალენდარში.

სლავა მეტრეველზე, რომ იტყვიან, ყველამ ყველაფერი კარგად იცის და ჩვენც ვეცადეთ მისი საფეხბურთო ბიოგრაფიიდან უფრო ნაკლებად ცნობილ დეტალებზე შეგვეჩერებინა თქვენი ყურადღება. დაუჯერებელია, რომ ს. მეტრეველი დღეს უკვე 60 წლისაა. გახსოვთ რა ქურციკივით (ლეგენდარული ბორის პაიჭაძის ზუსტი შედარებაა) დანავარდობდა მწვანე მინდორზე, როგორ ლაღად გადააფრინდებოდა მის წინ აღმართულ მცველებს — ერთს, მეორეს, მესამეს. მერე რა დიდებული პასები იცოდა, რა ზუსტ დარტყმას ფლობდა. ბევრი, ძალიან ბევრი მატჩი მაგონდება, ს. მეტრეველის დიდებული თამაშით, მისი განუმეორებელი ხელწერით რომ მიმდინარეობდა. მათი გახსენებით თავს არ შეგაწყენთ, არც ჩვენი იუბილარის რეგალიების ჩამოთვლას ვაპირებთ აქ. ცხადია, შეგვიძლია შეგახსენოთ ისეთი ცნობილი სპეციალისტების სიტყვები სლავა მეტრეველზე, როგორნიც არიან ელენიო ერერა, მიხაილ იაკუშინი, ნიკოლაი სტაროსტინი, გავრილ კაჩალინი, ვიქტორ მასლოვი... და ბოლოს, მოვიტანოთ ჟურნალისტების ქებათა-ქება საფრანგეთის, ინგლისის, არგენტინისა და სხვა ქვეყნების ჟურნალ-გაზეთებიდან გადმობეჭდილი მისი ლამაზი მატჩების შემდეგ „პარკ დე პრენსის“, „უემბლისა“ თუ „რივერ პლეიტის“ სტადიონებზე.

...მთელი ნახევარი წელიწადი გაატარა სლავა მეტრეველმა მოსკოვში თავის ძველ ბინაზე კურსკის ვაგზლის მახლობლად. აქ იგი ენდოკრინოლოგიურ ცენტრში მკურნალობის კურსს გადიოდა, ასე ვთქვათ, ხვალინდელი დღის ექიმთან, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ იური მარკინთან. ეს იყო კომპიუტერული მკურნალობა გულ-სისხლძარღვთა სისტემის მუშაობის ნორმალიზაციაზე, რამაც კარგი შედეგი გამოიღო. სლავა მეტრეველი ბევრად უკეთ გრძნობს თავს და ხუმრობს კიდევ: „აი, ახლა ბუცებს ჩავიცვამ და...“

ოთარ ნოზაძე.



იგორ სოკოლოვის მეგობრული შარჟი.

### ჩოგანი

### გახსენება

## მერი ჭანიშვილი

უკვე წელიწადი სრულდება, ჩვენო მერიკო, რაც შენ ვერ გხედავთ. ხშირად მოვდივართ შენს საფლავთან შენი ძმები, დავტირით, მაგრამ უშედეგოდ... ყოველ დღე მოდის შენს ბინაში შენი ობლად დარჩენილი, უფროსი უცოლო ძმა და ჰგონია, რომ შეხვდები, სადილით გაუმასპინძლდები, ტანსაცმელს გამოუცვლი და დამშვიდებულს გაუშვებ თავის ბინაში, მაგრამ ნურას უკაცრავად, აცრემლებული თვალებით დაჰყურებს შენს სურათებს, ამ ცხოვრებაზე იმედგაცრუებული.

არიან ადამიანები, რომლებიც სიკეთისათვის იბადებიან, ასეთი იყავი შენც, ყველასათვის, ვინც გიცნობდა. ალბათ ეს სიყვარული ადამიანების მიმართ იმით იყო გამოწვეული, რომ პატარა იყავი, როცა დედა გარდაგეცვალა და დედის სიტკბოს მონატრებულს ყველასათვის გინდოდა სიკეთე გაგეკეთებინა.

მეორე მსოფლიო ომის დაწყების მეორე დღესვე ჯარში გაგიწვიეს სამშობლოს დასაცავად, გაგგზავნეს ამიერკავკასიის სამხედრო 367 ჰოსპიტალში, სადაც მსახურობდი 12 წელიწადი, ხშირად იყავი ფრონტზე. 1954 წლიდან 35 წელიწადი მსახურობდი ამიერკავკასიის სამხედრო შტაბის პოლიკლინიკაში შენი საყვარელი სპეციალობით — ფიზიოთერაპევტად, სადაც განუზომელი ავტორიტეტით და სიყვარულით სარგებლობდი კოლეგებსა და ავადმყოფებს შორის. მკურნალობდი არა მარტო ჯარისკაცებს, არამედ იმათაც, ვისაც სამხრეებზე დიდი ვარსკვლავები ჰქონდათ. მათ შორის იყვნენ მარშლები ტოლბუხინი, როკოსოვსკი, კონევი, მალინოვსკი, გენერლები ხადაევი, ანტონოვი, მელნიკოვი, კულიშევი, პესტოვი, ფედუნინსკი, გალიცკი და სხვა მრავალი. ასეთი კარგი შრომისათვის ორდენებით და მედლებით დაგაჯილდოვეს, მინიჭებული გქონდა საბჭოთა კავშირის მედიცინის ფრიადოსნის სახელი.

როდესაც ავად გახდი და წელიწადნახევარი ლოგინზე იყავი მიჯაჭვული, უყურადღებოდ არ გტოვებდნენ შენი ყოფილი ავადმყოფები და მეგობრები, მოსკოვიდან გიგზავნიდნენ ფულს, წამლებს. თვალწინ გვიდგას ტკივილებისაგან გაწამებული სახე, მაგრამ მაინც იმედი გვქონდა, რომ ფეხზე დადგებოდი, ისევ ძველებურად მოგვივლიდი, მაგრამ გულმა ვერ გაგიძლო და ძილში გაგვეპარე. შენი წასვლით ცა დაგვექცა თავზე, სისხლი გაგვეყინა, სიტყვები გაგვიუცხოვდა და ვეღარ გეფერებით ისე, შენ რომ იმსახურებ, ჩვენო დაიკო. მხოლოდ ტირილს ვახერხებთ. სულისა და გულის დასამშვიდებლად საფლავზე გამოვრბივართ, სადაც მშობლების გვერდით წევხარ, იქ კი თქვენი ცივი სამარე გვათბობს.

დრო ვერ გაანელებს ჩვენს მწუხარებას, პირიქით, მონატრების სურვილი კიდევ უფრო გაგვიმძაფრდა, არ ნელდება სევდა, უშენობით გამოწვეული ტკივილი, გვიჭირს შეგუება მწარე სინამდვილესთან, რომ ჩვენთან ფიზიკურად აღარ ხარ და არ გვევლი, გვენატრები, ჩვენო საყვარელო დაო.

ნათელში იყავ, ჩვენო ტკბილო...

შენი ძმები ვალერიან და გიორგი კალანდაძეები.

THE DOCUMENT COMPANY
XEROX
კომპანია "ქსეროქსის"
ახალი პროდუქციის
გამოფენა
სასტუმრო "მეტეხი"
მხოლოდ ერთი დღე!
30 მაისი
10.00 სთ - 18.00 სთ

### მოქალაქეთა საყურადღებოდ!

საქართველოს პარლამენტის მიერ მიმდინარე წლის საიმიგრაციო კვოტის განსაზღვრასთან დაკავშირებით რესპუბლიკის ტერიტორიაზე მუდმივად ცხოვრების მსურველმა უცხოელებმა უნდა მიმართონ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობისა და მიგრაციის სამმართველოს.

მისამართი: ქ. თბილისი, 380003, გრიბოედოვის ქ. № 19. ტელეფონები: 99-67-98, 93-42-91.

### ხსოვნა

## ოფელია ზენაიშვილი

კიდევ ერთი პროფესიონალი და შესანიშნავი მოქალაქე გამოაკლდა მედიცინის მუშაკთა მრავალრიცხოვან არმიას, კიდევ ერთი გულისხმიერი, სათნო და ერთგული მეგობარი დააკლდა სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიური პოლიკლინიკის კოლექტივს, სადაც 18 წელიწადი კეთილსინდისიერად იმუშავა.

ოფელია ზენაიშვილი, ეს გვარ-სახელი კოლეგებსა და პაციენტებში ყოველთვის დადებით ემოციებს იწვევდა. შინ და გარეთ ჩუმი, მოკრძალებული ყოველთვის საერთო სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა.

1928 წელს დაიბადა, დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი, ახალქალაქის და ახალციხის სამედიცინო დაწესებულებებში მიიღო პროფესიული წრთობა. სწორედ მრავალწლიანმა გამოცდილებამ მოუპოვა მას საყოველთაო აღიარება, ამის დასტურია ის ჯილდოები, რომელიც პირველი კატეგორიის ექიმს ამშვენებდა.

სწორედ ასეთ ადამიანებზეა ნათქვამი: ცოცხალი იყო და სიცოცხლეს გვიადვილებდა, მოკვდა და სიკვდილზე ფიქრსაც გვიმსუბუქებს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიური კლინიკა.

## შალვა შუბაშვილი

რა მძიმე და მტკივნეულია შენთან განშორება. ჯერ კიდევ სიზმარში გვგონია თავი. თითქოს ბურანიდან ვერც კი გამოვრკვეულვართ. გვგონია ისევ დაგვიბრუნდები, ისევ შემოხვალ მომღიმარი და ხანდახან სევდიანიც.

ბებიაშენმა ერთ დღესაც ვერ გაუძლო შენი გაყინული სხეულის ცქერას და ისიც გამოგვეცალა ხელიდან. თუმცა, ეს ალბათ შენ უკვე იცი. ყველას გვეგონა, რომ ყველაფერში პირველი და სანაქებო, დაძლევდი უკურნებელ სენს, რომელმაც ოცდამეექვსე გაზაფხულის სითბო და სილამაზე ვეღარ დაგანახა და თავის შავბნელი, მარად ცივი ქვეყნის ბინადრად გაქცია.

შენი ერთადერთი ძმა ვასიკო ფრთამოტეხილი ჩიტივით დადის გაოგნებული. ის შენს სახელს არ დაკარგავს და მარად ეხსომები, როგორც კეთილი, ლამაზი, სიცოცხლით სავსე და მომღიმარი შალვა.

ახლობლები.

## რობერტ ჩაიძე

ქართულმა ქირურგიულმა საზოგადოებამ მძიმე დანაკლისი განიცადა, გარდაიცვალა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის სუბორდინატორთა ჰოსპიტალური ქირურგიული კათედრის დოცენტი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი რობერტ ჩაიძე. მან თავისი შეგნებული ცხოვრების 45 წელიწადი სხვათა სიცოცხლის შენარჩუნებას მიუძღვნა, თვითონ კი ჩუმი, უეცარი სიკვდილით აღესრულა.

მაღალკვალიფიციური ქირურგი, ერუდირებული მკვლევარი, შესანიშნავი პედაგოგი, სათუთი ბუნების, გულისხმიერი, სპეტაკი პიროვნება, კარგი მეგობარი, ასე იცნობდა მას სამედიცინო საზოგადოება.

დაიბადა 1930 წელს ბათუმში. 1954 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მიემგზავრება ლენინგრადში, სადაც ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში პროფესორ ბლინოვის ხელმძღვანელობით განვლო გზა კლინიკის ორდინატორიდან დოცენტის თანამდებობამდე. იქვე იცავს საკანდიდატო დისერტაციას. ლენინგრადშივე აღიარებული ქირურგი 1983 წელს ბრუნდება საქართველოში და განაგრძობს პრაქტიკულ, სამეცნიერო და პედაგოგიურ მუშაობას თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის სუბორდინატორთა ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრაზე.

რობერტ ჩაიძემ მაშინვე დაიმსახურა მთელი კოლექტივის სიყვარული. იგი თავისი დიდი ადამიანური თვისებებით, გულისხმიერებით და დახვეწილი ქირურგიული ტექნიკით თანამშრომელთა და მადლიერი პაციენტების საყოველთაო პატივისცემას იმსახურებდა.

ქირურგიის აქტუალური საკითხებისადმი მიძღვნილი 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორს საჯარო პაექრობისათვის გამზადებული სადოქტორო დისერტაცია დაუცველი დარჩა.

კათედრისა და მე-4 კლინიკური საავადმყოფოს თანამშრომლები ქედს ვიხრით რობერტ ჩაიძის ნათელი პიროვნების წინაშე.

თბილისის № 4 კლინიკური საავადმყოფოს კოლექტივი; სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრა.

## ზურაბ ჯაში

გარდაიცვალა 192-ე საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ზურაბ ჯიმალის ძე ჯაში. 192-ე საშუალო სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახის წევრებს და ამავე სკოლის პედაგოგს, დედამისს, ქალბატონ ცირა ჯაშს ამ უმძიმესი, აუნაზღაურებელი დანაკარგის გამო.

192-ე საშუალო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი.

ფირმა „მოდინახე“
ასრულებს ბანიანი (ბრტყელი) სახურავების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს შეღავათიან ფასებში, გარანტიით ჰიდროიზოლით, რუბეროიდით, მინაქსოვილით და ბიტუმით.
მისამართი: მ. წინამძღვრიშვილის 123/1.
ტელ.: 96-80-99 (დღისით), 22-08-58, 36-51-26 (საღამოს).

მორიგე რედაქტორი რუსუდან ლორთქიფანიძე.

გამომცემელი შპს „პრესა“ რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14. ინდექსი 66434. ტელ.: 99-73-24. მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.